რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოთხშაბათი, 11 აპრილი 1918 წ.

# ერთობა

ფასი 30 კაპ.

გაზეთი ღირს: 1 თვით 6 მ. 50 კ., ცალკე ნომერი ყველგან 30 კაპ. საზღვარ-გარეთ ორ ჯერ მეტი. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—50 კაპ. სამგლოვიარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 11 ნახ. ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба". სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს. რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 83 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 83



გრძელდება ხელის მოწერა 1918 წლისთვის

ყოველ დღიურ გაზეთ

„ერთობა"-ზე

1 თვით — 6 მან. 50 კ. ცალკე № ყველგან 30 კ.

გაზეთის დაკვეთა შეიძლება შემდეგი მისამართით:

Тифлисъ почт. ящикъ № 199. РЕДАКЦІЯ „ЭРТОБА"

ამხ. და თანამგრძნობთ მხთხოვთ ხელის მოწერას ნუ დააყოვნებენ.


გულ დათუთქულნი და მწუხარებით აღვსებულნი მშობლები: მამა ივანე, დედა ემილია; ძმები: მელქისედეკ, გიორგი, შალვა და ირაკლი ვაუწყებთ ნათესავთ, მეგობრებს და ამხანაგებს, რომ 12 აპრილს დილით ხუთშაბათს 12 საათზე სოფელ ბახვში, ბახვის ღვთის მშობლის ეკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი უდროვოთ გარდაცვალებულის ძვირფასის და საყვარელის

**ვიკტორ ივანეს ძე ვოლქვაძის**

სულის მოსახსენებლათ. (2—2)

ღრმად დამწუხრებული მეუღლე კოლა მ. შავიძე აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ საყვარელ მეუღლის

**მარო (მარუსა) სიმონის ასულის შავიძის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს 12 აპრილს ქ. თფილისში (ნახალოვკა დმიტრიევის ქუჩა № 23).

გულმოკლული მეუღლე მარიამი, შვილები: ნიკოლოზი და ვანო; ღრმათ დამწუხრებული დედა ანნა, ძმა—იოსები და სონა ფხალაძე, ცოლის და ძმა—ოლა და ალექსი ოზაშვილი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ დაუვიწყარ და ძვირფას

**ლევან აბრამის ძის ფხალაძის**

ტრაგიკულად გარდაცვალებას.

მიცვალებულს გამოასვენებენ თავის ბინიდან (ანდრეევის ქუჩა № 122) ხუთშაბათს, 12 აპრილს და გაასვენებენ წმ. ნინოს სასაფლაოზე.

დამწუხრებული ნინა და მიხეილ თამაზაშვილი, დათიკო და ნინა ოზაშვილი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ დაუვიწყარ სიძის

**ლევან აბრამის ძის ფხალაძის**

ტრაგიკულად გარდაცვალებას.

მიცვალებულს გამოასვენებენ თავის ბინიდან (ანდრეევის ქუჩა № 122) ხუთშაბათს, 12 აპრილს და გაასვენებენ წმ. ნინოს სასაფლაოზე.

ქ. ი. ზუბალაშვილის სახელობის ქალაქის სახალხო სახლი.

ხუთშაბათს 12 აპრილს 1918 წ. სახალხო სახლის სცენის მოყვარეთა მიერ ჟურნალ „ეშმაკის მათრახის" რედაქციის სასარგებლოთ წარმოდგენილი იქნება:

**ქრისტინე**

დრამა 4 მოქ. ირეთელისა.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: ანჯარა, არჯევანიძე, ბარათაშვილი, გოგოლაშვილი, ჩირქეზიშვილი, ჯავახიშვილი; ბ-ნნი: ანაშვილი, გოცირიძე, იველი, მეტრეველი, მინდიაშვილი, სალაყაია და სხვანი.

დასაწყისი საღამოს შვიდის ნახევარ საათზე.

ადგილების ფასი 1 მ. 40 კ.-დან 35 კ.-მდე.

ოთხშაბათს 11 აპრილს საღამოს 7 საათზე სასახლის თეთრ დარბაზში დანიშნულია თფილ. მ. და ჯ. დეპ. საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის

**სხდომა.**

მარტის 20 გაიხსნა ახალი

**სამკურნალო**

ყოველგვარ ავათმყოფთათვის

ექიმ. ე. მ. მძინარიშვილის და ლ. მ. ნაზარეტიანცის

სავადმყოფოში არსებობს კბილის საექიმო კაბინეტი ხელოვნურ კბილების ტეხნიკურ ლაბარატორიით

მიხეილის და კიროჩნი ქუჩების კუთხე № 22. (შესასვლელი კიროჩნი ქუჩიდან) ტელეფ. 10—87. ავათმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 ს. ნაშუადღევის 3 საათამდე. ვ ნერიული და სიფილისის ავათმყოფების მიღება საღამოს 5—8-მდის. ქალების და ბავშვების მიღება 4—5 ს., კვირაობით ღარიბები უფასოთ მიიღები 6 დილ. 10—12 საათ. (24—16)

სამკურნალო კაბინეთი

ექიმი ალექსანდრე დავითის ძის

**კეკელიასი**

მიიღება კანისა, ვენერიულისა და სიფ[illegible]ლისიანი ავათმყოფები. (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ ტელეფონი 14—28

ექიმი

**ვ. ვ. კლდიაშვილი**

შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ღებულობს ყოველ-დღე დილ. 12—1 საათ. და საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 4, კუთხე მიხეილის პრ. ტელეფონი 8—48. ვაგზლის სამკურნალოში მიიღებს ყოველ-დღე დილის 1—2 საათამდე.

**ექიმი პ. ი. გვარჯალაძე**

შინაგან და ბავშვთა სნეულებანი

ავათმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 5—6 ს., კვირა დღის გარდა.

ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელის გვერდით ტელ. 15—00.

**ექიმი გ. მ. მუხაძე**

იღებს სადოსტაქ[illegible]ო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 57; აფიცერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, „სახ. სვანიშვილისა. ტელ. № 5—77.

## ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობა

ამიერ-კავკასიის დემოკრატიამ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა. ცხრა აპრილის სხდომაზე სეიმმა მიიღო აქტი ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის შესახებ. ამიერიდან ჩვენი ქვეყანა, რომელიც ფაქტიურათ უკვე ნოემბერს აქეთ ჩამოშორებულია რუსეთს, ოფიციალურათაც დამოუკიდებელია, ის რუსეთის ნაწილს აღარ შეადგენს და საერთაშორისო ოჯახის სწორუფლებიანი წევრი ხდება. ასეთია ჩვენი მდგომარეობა იურიდიულათ.

მაგრამ ეს დამოუკიდებლობა ჯერჯერობით ცალმხრივი აქტია, მხოლოდ ჩვენი ნების გამოხატულებაა. და რომ სავსებით შევიმოსოთ დამოუკიდებლობის უფლებით, ამისთვის საჭიროა, რომ სხვა სახელმწიფოებმაც იცნონ ჩვენი დამოუკიდებლობა და ეს სათანადო აქტით დაადასტურონ. ასეთია ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობა.

რაზეა დამოკ[illegible]დებული ჩვენი მომავალი ბედი?

ჩვენ ვიცით, რომ ყოველგვარი უფლება ძალას ეყრდნობა. ასეთია განსაკუთრებით საერთაშორისო უფლება. რუსეთთან 1783 წ. დადებულ ხელშეკრულობის ძალით, საქართველო შინაურ ცხოვრებაში სრულიათ დამოუკიდებელი უნდა ყოფილიყო, რუსეთს მხოლოდ მფარველობა უნდა გაეწია მისთვის, მაგრამ სინამდვილეში ეს არ განხორციელდა და საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლისთანავე რუსის ჯარმა სავსებით შეუერთა ჩვენი ქვეყანა რუსეთის იმპერიას და მის განუყოფელ ნაწილათ გადააქცია. ამნაირათ მოისპო ჩვენი პოლიტიკური დამოუკიდებლობა, რაც გამოწვეული იყო ერთის მხრით ჩვენი სისუსტით, ხოლო მეორე მხრით რუსეთის იმპერიის ინტერესებით.

დღესაც იგივე შეიძლება განმეორდეს. დამოუკიდებლობა, რომელიც ჩვენ გამოვაცხადეთ, შეიძლება არ იცნონ დაინტერესებულმა სახელმწიფოებმა, შეიძლება, აგრეთვე იცნონ, მაგრამ მოხერხებულ დროს ისევ დაარღვიონ და არარათ გვაქციონ. მაშასადამე, საერთაშორისო ხელსაყრელ პირობებს გარდა საჭიროა აგრეთვე ჩვენი ძალა, რომელიც საშუალებას მოგვცემს მოსული მტრის მადა შევზღუდოთ და შინაური ანარქია ჩავაქროთ და წესიერება დავამყაროთ.

ერთი სიტყ[illegible]თ, ნაბიჯი უკვე გადადგმულია და მხოლოდ დემოკრატიის ერთსულოვნობას შეუძლია საფრთხის თავიდან აცილება.

არ უნდა დავმალოთ: დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან, ბევრი მტერი გაგვიჩნდება და სხვადასხვა გზით შეეცდება ჩვენს დასუსტებას და დაუძლურებას. ასეთი მტერი იქნება პირველ ყოვლისა რუსული ბოლშევიზმი, აწ ანარქო-კომუნისტური პარტია. ჩვენ დიდხანს გვიმუშავნია იდეიურ ბოლშევიკებთან ერთად და საუბედუროთ უნდა ვთქვათ, რომ იდეიური ბოლშევიზმი უკვე აღარ არსებობს რუსეთში. ამის დასამტკიცებლათ საკმაოა აღვნიშნოთ, რომ ბოლშევიზმის დროშის ქვეშ აშკარათ მოიყარეს თავი სხვადასხვა უარყოფითმა საზოგადოებრივმა ელემენტებმა. ვინ გინდათ, რომ ამ დ[illegible]ოშის ქვეშ არ იდგეს დღეს: სხვილი მემამულე ყაზახები ინგუშების წინაამდეგ იმ იმედით, რომ მიწას შეინარჩუნებენ, ინგუშები ყაზახების წინააღმდეგ, რომ მიწები ჩამოართვან; სომეხი, აფხაზი და ოსი ნაციონალისტები, ფრონტიდან გამოქცეული სპეკულიანტი ჯარისკაცები და რუსი მოხელეები და ზოგიერთი უსაქმოთ მოხეტიალე აფიცრები, ყოფილი ჟანდარმები და უბრალო და ბრალიანი მონარქისტები—ყველანი ბოლშევიზმის დროშის ქვეშ დგანან და, ეჭვი არ არის, რევოლიუციის და თავისუფლების სხვა მტრებთან ერთად ესენი სხვადასხვა საბაბით ეცდებიან ზურგიდან დაესხან ამიერ-კავკასიის ნორჩ დამოუკიდებელ რესპუბლიკას. ანარქია ამა თუ იმ სახით უეჭველია თავს წამოყოფს და შინაურ ცხოვრების გახრწნას შეუდგება. ჩვენ ვფიქრობთ, რომ რუსეთის დღევანდელი ოფიციალური წარმომადგენელი—კომისართა საბჭოც არ დარჩება გულხელ დაკრეფილი: ის დიდი ხანია ეპოტინება ამიერ-კავკასიას, მან ერთხელ კიდეც გამოგვიგზავნა საგანგებო კომისარი შაუმიანი და ეტყობა ჯერ კიდევ არ აუღია ხელი ჩვენში ბოლშევიკურ „საბჭოთა მთავრობის" დამყარებაზე. როგორც ვიცით, პროტესტიც კი განაცხადა ჩვენი დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, თუმცა სიტყვით, რასაკვირველია სადემაგოგოთ, ყველა ერებს ცხოვრების დამოუკიდებლათ მოწყობის [illegible] მისცა. ამ რიგათ, კომისართა საბჭოც ისე იქცევა ამიერ-კავკასიის მიმართ, როგორც თვითმპყრობელობა იქცა, იმ განსხვავებით, რომ თვითმპყრობელობას ჯარი მაინც ეყენა ჩვენი საზღვრების დასაცავათ, ხოლო ბოლშევიკების მთავრობა პირდაპირ ხელს უშლის საზღვრების დაცვის საქმეში: შემთხვევითი როდია ის მოვლენა, რომ როცა ოსმალეთი ბათუმ ყარსს მოადგა, სწორეთ იმ დროს ზურგიდან დაგვეცენ ბოლშევიკები და ბაქოს, სოხუმს და სამეგრელოს შეესიენ.

აღნიშნულ და სხვა ათასგვარ დაბრკოლებათა მიუხედავათ, ამიერ-კავკასიამ უნდა იარსებოს, როგორც დამოუკიდებელმა სახელმწიფომ. სხვა გზა მას არ აქვს, რადგან თუ მან დამოუკიდებლობა ვერ შეინარჩუნა ის ოსმალეთის მონა უნდა გახდეს.

ძნელი იყო ასეთი ნაბიჯის გადადგმა, ერთობ მჭიდრო იყო ჩვენი კავშირი რუსეთის რევოლიუციონურ დემოკრატიასთან, მაგრამ საუბედუროთ დღეს ეს დემოკრატია დამარცხებულია და ჩვენც მის დამოუკიდებლათ გვიხდება ახალი ცხოვრების მოწყობა. ეს არ არის ჩვენი მხრით ღალატი რუსეთისადმი, ეს არის მხოლოდ მწარე სინამდვილე და ცხოვრების ულმობელი კანონის ცნობა. და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ რუსეთის საზოგადოების საუკეთესო ნაწილი გაიგებს ჩვენს მდგომარეობას და ეცდება მეგობრული განწყობილება იქონიოს ჩვენთან.

ვიმეორებთ, შექმნილი მდგომარეობა ერთობ მძიმე და დამაფიქრებელია, ჩვენ არ ვიცით, რა მოულოდნელ ამბებს გვიმზადებს მომავალი, მაგრამ ის, რაც ჩვენ გავაკეთეთ აუცილებელი იყო და დარწმუნებული ვართ, რომ დამოუკიდებლობის გამოცხადება გაგვიადვილებს აუტანელ მდგომარეობიდან თავის დახწევას.

მძიმეა ყოველივე პირველი ნაბიჯი, მით უფრო ძნელია ხანგრძლივ აპეკუნობიდან გამოსვლა და საკუთარ ცხოვრების მოწყობა. მაგრამ ამიერ კავკასიის ერების, უმთავრესად ამ ერების დემოკრატიის ენერგია და სოლიდარული თანამშრომლობა გადალახავს ყოველგვარ დაბრკოლებას და უკეთეს მომავლისაკენ გზას გაგვიკაფავს.

ჩვენც ამ სოლიდარობისაკენ მოუწოდებთ ამიერ-კავკასიის ყველა ერთა დემოკრატიას.

## პრესა

ჩვენებური ურა-ნაციონალისტები, ეგრეთ წოდებული ნაციონალ-დემოკრატები შეუდგნენ დემოკრატიასთან ანგარიშის გასწორებას. ამისთვის მათ მიზანში ამოუღიათ დემოკრატიის უკეთილშობილესი ბელადი, ჩვენი ამხ. ირაკლი წერეთელი. „საქართველო" სწერს:

„წერეთელი, რომელიც რუსეთში ბოლშევიკებთან ბრძოლას ალევდა თავის ძალღონეს, დღეს, აქ, თავის სამშობლოში ბოლშევიკურ თესლს სთესავს და ბოლშევიკურ საქმეს ემსახურება. ის, სეიმის წევრი და მენშევიკების ფრაქციის წარჩინებული მეთაური, სეიმს უცხადებს ბრძოლას და საბჭოების მთავრობის შექმნას მოითხოვს".

რა უნდა უთხრათ ისეთ ხალხს, რომელსაც საბჭოების გავლენა ისე ესმის როგორც სეიმის დაშლა და რუსეთის დემოკრატიის საღ ელემენტებთან შეკავშირების სურვილი, როგორც ბოლშევიკების მოწევა. ეს არც გასაკვირია, რადგან, მისი ფიქრით, ყველა ჯურის რუსი ჩვენი მტერია. ნაციონალ დემოკრატები ისე შეეჩვიენ ყველა კითხვების ეროვნულ ნიადაგზე გადატანას, რომ არმავირის ისტორიას ხაზ-გასმით ქართველების დახვრეტათ აცხადებენ, თუმცა იქ ქართველებთან ერთად რუსები და პოლონელებიც დახვრიტეს. ამიტომ არც გასაკვირია მათი გამოლაშქრება წერეთლის წინააღმდეგ. წერეთელს შეუძლია გაიმეოროს ის, რასაც ხშირათ ამბობდა ხოლმე ერთი გამოჩენილი სოციალ-დემოკრატი: როცა ჩვენი მტრების გაზეთებს ვკითხულობ მეშინია ხომ არ მაქებენ ისინი და თუ ასეთ ქებას წავაწყდი, ვამბობ: დავლუპულვარ, ალბათ რამე დანაშაული ჩამიდენია ხალხის წინაშე, რომ მტრები მაქებენო!

* * *

იმავ „საქართველო"-ში რ. ინგილო და ვინმე „შეუპოვარი" დიდის „შეუპოვრობით" ამტკიცებენ: სოციალ-დემოკრატები ნაძალადევი პატრიოტები არიანო. „შეუპოვარი", სხვათა შორის სწერს: „ვამულიშვილის" სახელი დღესაც უსაშინელესს საფრთხეს წარმოადგენს მართლმორწმუნე მარქსისტისათვის... ერი, როგორც ასეთი მას არ სწამს, ერი მისთვის ცოცხალი ორგანიზმი არ არის. მას არ სწამს მთლიანი ეროვნული აზრი, ვერ დაუნახავს მთლიანი ეროვნული სხეული, ვერ უგრძვნია ეროვნული სულისკვეთება. ერი მას ეხატება როგორც კლასთა კრებული, ასპარეზი ერის შემადგენელ ნაწილების საბრძოლველათ".

დამნაშავე ვართ: ერი ჩვენ „გვეხატება როგორც კლასთა კრებული", და რომ ერი კლასთა კრებულია, ამას ამტკიცებენ სხვათა შორის თვით ნაციონალ დემოკრატები. ჩვენ დიდი სურვილი გვაქვს, რომ ეს ასე არ იყოს და ამიტომ თვით ნაციონალ-დემოკრატებს შეუძლიათ ჩვენი „ურწმუნობის" მოსპობა: დაივიწყონ თავისი ჯგუფური ინტერესები, შეუერთდენ მშრომელ ხალხს და როცა ცხვრებს და მგლებს ერთად დავინახავთ, ჩვენც ვიწამებთ, რომ „ერი არ არის კლასთა კრებული". მანამდის კი ნება მოგვეცით „მამულიშვილის" სახელი ვითაკილოთ. რაც შეეხება ნამდვილ მამულიშვილობას ჩვენ ამ სახელით ვამაყობდით და ახლაც ვამაყობთ, რაც ხალხის ფართო მასამ კარგათ დააფასა.

## ამიერ-კავკასიის ბედი

მეტათ უნუგეშო მდგომარეობაშია დღეს ჩვენი ქვეყანა. მას მოელის უცხო სახელმწიფოს მიერ დაპყრობა, თუნდაც ჩვენი ხალხი მეტათ მოწადინებულიც იყვეს ბოლომდის გაუმკლავდეს შემოსეულ მტრებს, მას ეჭირვება ძლიერი მოკავშირე და საკმაო იარაღი. ომი აუარებელ ხარჯებს მოითხოვს. საჭიროა ფულებიც ჯარის მოსამზადებლათ. რუსეთი, როგორც მოკავშირე ომისთვის დღევანდელ პირობებში ყოვლად გამოუსადეგარია. მას ჯარის გამოგზავნა არ შეუძლიან, ხოლო რაც შეეხება შავი ზღვის ფლოტს, ის უვარგისია თავისი შემადგენლობით და ბრძოლის უნარი დაკარგული აქვს. ამასთან ბრესტ-ლიტოვსკის ხელ-შეკრულების წყალობით, მას უფლება არა აქვს ბრძოლაში მიიღოს მონაწილეობა და მიუხედავათ მისი ვითომ და რევოლიუციონური ბაირაღის, ის პირნათლათ ემორჩილება ოსმალეთის ბრძანებას.

ამბობენ, რუსეთს შეუძლიან დახმარება გაგვიწიოს სურსათის მხრივო. მაგრამ ეს უნდა მოხდეს თავის დროზედ და რუსეთშივე მას უნდა ხელმძღვანელობდეს მაგარი და დახელოვნებული დაწესებულება. შეიძლება დღეს პური მიიღო რუსეთიდან, ხოლო შემდეგ ერთი თვე უცადო, სანამ დარიალის ხეობაში დაწყნარდება ვინმეს მიერ ატეხილი სამოქალაქო ომი და გზა ისევ გაიხსნება. ომის დროს ასეთი მდგომარეობა შეუძლებელია.

რაც შეეხება საომარ თანხას, არის ერთი სახელმწიფო, რომელსაც შეუძლიან დახმარების გაწევა. ეს არის ინგლისი. მაგრამ ჩვენ მას ვერ მივმართავთ ფულისთვის. დღევანდელ პირობებში ინგლისის ფინანსიური დახმარება ნიშნავს მასთან ერთათ ხელჩაკიდულათ ომის გაგრძელებას, ხოლო ასეთი ნაბიჯი ჩვენს ხალხს ჩააყენებს ბოლოს უკიდურეს განსაცდელში. მან უნდა იომოს იმ დრომდის, სანამ ინგლისი ამას მოისურვებს და ჩვენი ჯარი, დაქირავებული ინგლისის მიერ, ჩათრეული იქნება ახალ ავანტიურაში. ხოლო როდის გაათავებს ომს ინგლისი, ჩვენ არ ვიცით. ფულისთვის ქალაქებს რომ მივმართოთ—ეს შეიძლება პირველ ხანებში, ხოლო შემდმივი დაჯარიმება ქალაქების შეუძლებელია და გამოიწვევს ისეთ რეაქციას თავდაცვის მთავრობის წინააღმდეგ, რომ გაუადვილებს კარზედ მომდგარ მტერს წინსვლას და ქვეყნის დაპყრობა—აოხრებას.

როგორია მდგომარეობა შიგ ამიერ-კავკასიაში? მისი მცხოვრების ნახევარზე მეტი სრულებით არ ფიქრობს ომზე, მთელ მუსულმანობას, მეტი რომ არ ვსთქვათ, ნეიტრალური პოზიცია უკავია. ის სიტყვით არც იქით არის და არც აქეთ. თავის სიმპატიას ოსმალეთისადმი კი ის სრულებით არ მალავს, ხოლო რაც შეეხება აღმოსავლეთ კავკასიის უმაღლეს წრეებს, მათ დიდი იმედიც კი აქვთ ოსმალეთის შემოსვლის და არა მარტო მათ, ოსმალეთმა თუ დაიპყრო ჩვენი ქვეყანა, ის დაასამარებს დემოკრატიის უდიდეს მოპოებას, ეს ნათელია ყველასათვის. ამავე დროს მთელი ომის სიმძიმე თავს დააწვება სომხის და ქართველ დემოკრატიას. რაც უნდა უქადაგოთ ჩვენ მუსულმან გლეხებს, რომ ომობს დემოკრატია იმპერიალისტებს წინააღმდეგ, ის მაინც დაინახავს ქართველ-სომეხს ბრძოლაში ჩაბმულს ოსმალეთის წინააღმდეგ, მის პირველყოფილ აზროვნებაში—ეს იქნება ბრძოლა ქრისტიანების მუსულმანების წინააღმდეგ. ასეთ პირობებში ომი საშინელ ხასიათს მიიღებს და შიგ, ამიერ-კავკასიაში, გაჩაღდება ნაციონალური შეხლა-შემოხლა.

ჩვენ ყოველთვის დარწმუნებული ვიყავით, რომ რუსეთის რევოლიუცია, როგორც უაღრესათ დემოკრატიული, დამარცხდებოდა; თუ მას მხარს არ დაუჭერდა ევროპის დემოკრატია. ჩვენ კარგათ ვიცოდით, რომ იმპერიალისტური, ბურჟუაზიული ევროპა ვერ შეურიგდებოდა რუსეთის ღრმა სოციალურ-პოლიტიკურ ცვლილებას. მეორე მხრივ, რუსეთის დემოკრატიას აუცილებლათ ეჭირვებოდა ევროპის დახმარება. მთელი რუსეთის მეურნეობა განადგურებულია. ხაზინა დაცარიელებული, ქარხანა ფაბრიკები ნახევრად განადგურებული. როგორც ტეხნიკურად, ისე ფულის მხრივ ვინმე უნდა დახმარებოდა რუსეთს. მაგრამ საუბედუროდ, ბურჟუაზიული ევროპა და ამერიკა ხათრისთვის და ლამაზი სიტყვებისთვის არავის ეხმარება. თუ რუსეთის უკიდურესი დემოკრატია მიიღებდა ამ დახმარებას, ის შებოჭილი იქნებოდა თავისი სოციალურ-პოლიტიკურ შემოქმედებაში და მის იმედებს ცხოვრების ძირიანად გადაქცევისთვის ფრთა შეკვეცებოდა. თუ არ მიიღებდა ასეთ ცუდ პირობებში დახმარებას, დემოკრატია უძლური იყო თავისი ეკონომიურ-ფინანსიური ძალებით აემუშავებია რუსეთის ცხოვრება და ის ნორმალურ კალაპოტში ჩაეყენებია.

ასეთივე მდგომარეობაშია ამიერ-კავკასია. მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ აქ ნაციონალური შეხლა-შემოხლა ხელს უშლის ყოველივე შემოქმედებას იმ ძალებით, რომელიც მოეპოება ამიერ-კავკასიის დემოკრატიას. ძლიერი რუსეთის დემოკრატიას ამ გარდამავალ ხანაში შეეძლო დიდი როლი ეთამაშნა, როგორც მესამე ძალას, სხვადასხვა ერებ შორის ატეხილ დავის გადასაწყვეტად. მაგრამ დღეს რუსეთის დემოკრატია უძლურია და მისი ჩარევა ერებ შორის ურთიერთობას მოგვარების საქმეში შესაფერ ნაყოფს ვერ გამოიღებს.

ასეთ პირობებში გვიხდება ოსმალეთის წინადადების გარჩევა საზავო მოლაპარაკებაზედ. ოსმალეთი თავის მოკავშირეებთან (გერმანია-ავსტრიასთან) ერთად განაახლებს საზავო მოლაპარაკებას, როცა ჩვენ გამოვაცხადებთ ამიერ-კავკასის დამოუკიდებლობას. წინააღმდეგ შემთხვევაში ის ივლის წინ, სანამ არ მიადგება კავკასიის ქედს. ოსმალეთი მარტო არ არის. ჩვენი უტყუარი ცნობით, გერმანიამ თავისი ჯარის ნაწილები ტრაპიზონში მოიყვანა. ასეთ პირობებში ან უნდა მივიღოთ ოსმალეთ-გერმანიის წინადადება, ან დაუსრულებელი ომი გვეწარმოებია. როგორც ზევით ვსთქვით, ჩვენ მოკავშირეები არა გვყავს, მტრები კი—აუარებელი. შეიძლება მოვიქცეთ ისე, როგორც ბოლშევიკებმა ქნეს რუსეთში. ჩვენ იარაღი დავყაროთ და ოსმალეთ-გერმანია მის ნებაზედ მოუშვათ. ეს გზა მეტად სახიფათოა. დაპყრობილ ქვეყანაში შემოჭრილი ოსმალეთ გერმანია ამა-

ვილად მოახერხებს შექმნას ისეთი ორგანიზ. და დაამყაროს ისეთი მთავ., რომელიც დამოუკიდებლობასაც გამოაცხადებს და ყოველივე დემოკრატიულ რეფორმებს დიდი ხნით დამარხავს. ამავე დროს მტრულათ შემოჭრილი ჯარი დღევანდელ რეაქციას, რომელიც დაბუდებულია საზოგადოების ზოგიერთ წრეებში, ფართო ასპარეზს მისცემს და თან ჩაითრევს ხალხის ერთ ნაწილს. დაგვრჩა მესამე გზა: დამოუკიდებლობა და საზავო მოლაპარაკება.

არის ერთი საბუთი, რომელიც წამოყენებული იყო საჯარო ლექციაზე სეიმის წევრი სმირნოვის მიერ. აჩხ. სმირნოვი ამტკიცებს, რომ ამიერ-კავკასიას არ შეუძლიან დამოუკიდებელი ცხოვრება ეკონომიური მიზეზის გამო. ამის შესახებ ჩვენ გადაჭრით უნდა ვსთქვათ, რომ დღევანდელ კაპიტალისტურ ევროპაში არამც თუ კავკასია, რუსეთიც სრულიათ დამოკიდებულია ევროპის კაპიტალზე. აშკარაა, რომ ჩვენ ქვეყანაში უნდა შემოიჭრას ან ინგლისის კაპიტალი, ან გერმანიის. ეს მოხდება ყოველივე პირობებში. დღეს, როგორც სჩანს, ჩვენი ქვეყანა გერმანიის კაპიტალის სარბიელათ ხდება. ამის წინააღმდეგ ჩვენ უძლურნი ვართ. ამისაგან შეგვიძლია გვიხსნას მხოლოდ ევროპის რევოლიუციამ. როდის მოხდება ეს? ჩვენ არ ვიცით. მხოლოდ როდესაც ევროპა ახალ სახეს მიიღებს, მაშინ სულ სხვა ნაირი ცხოვრების სურათი გადაგვეშლება თვალ წინ და ერების და მხარეების ბედი სულ სხვა ნაირად დატრიალდება. ომის შეწყვეტა თუ ეს მოხერხდა, ჩვენ კუთხეში თავისთავად, დღევანდელ პირობებში, საუკეთესო იქნება ჩვენთვის. ჩვენ ვერ გადავწყვეტთ ამ პატარა კუთხეში იმ დიდ დავას, რომლითაც მილიონობით აჯახებს ერთი მეორეს ინგლისის და გერმანიის იმპერიალისტებს. თუ შესაძლებელია, ჩვენი კუთხე უნდა გამოვიდეს ამ საერთაშორისო ომიდან. ნურავის გონია, რომ ზავის ჩამოგდებით სამოთხე დამყარდება ჩვენს მხარეში. ამით მხოლოდ საშვალება გვეძლევა ცოტად თუ ბევრად თავისუფლად ამოვისუნთქოთ. ასეთი აზრით ვხელმძღვანელობდით კითხვის გადაჭრის დროს.

ბ. თეკლათელი.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

ბათუმის დაცემამ და საზოგადოთ ჩვენს მიწა-წყალზე ოსმალების შემოჭრამ ბევრი ხალხის მტერი აალაპარაკა და კარგს გუნებაზე დააყენა. ბრალს, რა თქმა უნდა, ასეთი პირები საერთოდ რევოლიუციას სდებენ და კერძოთ კი სოციალ-დემოკრატიას. ამის გამო ქუთათური „ხალხის მეგობარი" შემდეგს სწერს:

„ბათუმის დაცემამ ბევრი გამოიყვანა სააშკარაოზე და ბევრი აალაპარაკა რევოლიუციის წინააღმდეგ. ბათუმი მათთვის ერთგვარი მასალაა რევოლიუციის გასაწბილებლად და საშვალება რევოლიუციის ჩასაქოლად. ისინი ბათუმს ხელზე იხვევენ და ამაში რევოლიუციას სდებენ ბრალს, თუმცა საკითხს ასე, კონტრ-რევოლიუციონერის გარდა არავინ არ დააყენებს. და აი ასეთ ხალხს დღეს ყოველ ფეხის გადადგმაზე შეხვდებით. დილიდან საღამომდი ასარსალებენ თავის მოწამლულ ენას. ეწევიან პროვოკაციას. ავრცელებენ ჭორებს და თხზავენ სიცრუესა და ინსინუაციებს, მათი მიზანია რევოლიუციას ძირი გამოუთხარონ, რევოლიუცია დასცენ და ძველი დრო დაიბრუნონ. ისინი აშკარა კონტრრევოლიუციონერებია, აშკარა შავრაზმელები.

მაგრამ ტყვილდებიან ანგარიშში რევოლიუცია არც ისე დასუსტებულა, როგორც ეს მათ წარმოუდგენიათ და დემოკრატია არც ისე გამტყდარა წელში, როგორც ამას ისინი ფიქრობენ ლომი ისე როგორ დაბერდება და დაუძლურდება, რომ ამგვარი მჩხავანა ხალხის იერიშების მოგერიება ვერ შესძლოს. რევოლიუციას კიდევ აქვს იმდენი ძალა, რომ მათ ლაგამი ამოსდოს. რევოლიუციონურ ორგანოებს მართებთ სასტიკი და მკაცრი ღონისძიების მიღება მათ წინააღმდეგ".

* * *

ამავე საგანს ეხება „სოც. დემოკრატი".

„ქალაქიდან პროვოკაცია სოფელს მოედო.

ქალაქის ჭორის ქარხნებში დამზადებული ჭორი ცილისწამებანი სოფელში გასასაღებლათ გაიტანეს და მეტათ კარგათ ისარგებლეს მით.

რას არ ლაპარაკობენ დღეს სოფელში, რა ამბები არ ბრუნდება დღეს სოფლიდან: ამბები ერთი მეორეზე უარესი, ერთი მეორეზე უფრო გასაკვირველი და წარმოუდგენელი—ზღაპრული.

გაგვყიდეს,—გაიძახიან და იცით ვინ გაგვყიდა თურმე?—მათ, ვინც დღემდე ხალხს ხელმძღვანელობდა, მათ ვისაც თავისი პირადული ცხოვრება დიდი ხანია რაც დაუვიწყნიათ და საზოგადოებისათვის შეუწირავთ თავისი თავი.

ხულიგნები, კონტრ რევოლიუციონერები, პროვოკატორები მხოლოდ ერთი მიზნით ავრცელებენ ასეთ უმზგავსო ხმებს. ამ პირშავებს ასულდგმულებთ მხოლოდ ერთი რამ: სახელი გაუტეხონ რევოლიუციის მებაირახტრეთ, ლაფში ამოსვარონ დროშა, ის წმინდა დროშა, რომელიც ამ მეთაურებს უჭირავთ ხელში.

დადიან სოფლებში აღვირახსნილი პროვაკატორები, შავბნელი ძალები და უღრღნიან ძირს რევოლიუციას, ასაფლავებენ თავისუფლებას.

„გაგვყიდეს, აღარ ვარგიან, გვიღალატეს",—გაისმის და თუ სადმე ჯერ კიდევ არ გაისმის, ცდილობენ იქაც გაისმოდეს.

ამ ვაჟბატონებს ხალხში შეაქვთ ურწმუნოება, უნდობლობა რევოლიუციისადმი. ეს ვაჟბატონები—პროვაკატორები ხალხის თვალში სცემენ რევოლიუციის მედროშეთ, აფუჭებენ მათ პრესტიჟს. ეს ნაცადი საშვალებაა. ეს გამოცდილი ხერხია. ასეთი ზომითაც იბრძოდენ რეაქციონერები წარსული რევოლიუციის დამარცხების შემდეგ. ამაზე უარეს საშვალებებსაც მიმართავდენ ხოლმე რევოლიუციის მტრები და სთესდენ ხალხში ანარქიას, უნდობლობას; უკარგავდენ ხალხს რევოლიუციისადმი რწმენას...

ასეთსავე ზომებს მიმართეს ეხლაც რევოლიუციის მტრებმა. ამავე ზომებით ებრძვიან ისინი დღესაც მებრძოლ რევოლიუციას. მოწინავე ამხანაგების ვალია სოფლად ენერგიულათ შეებრძოლონ ამ პროვაკატორებს და ხულიგნებს.

იცოდეს ყველამ, რომ რევოლიუცია სასტიკ პასუხს მოსთხოვს მტრებს.

## ამიერ-კავკასიის სეიმი

(9 აპრილის სხდომა).

თავჯდომარეობს კ. ჩხეიძე.

საგანგებოთ არჩეულ კომისიის სახელით დ. ონიაშვილი აკეთებს მოხსენებას ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის შესახებ. ამიერ-კავკასიის ერები—ამბობს მომხსენებელი — ეზიდებოდენ რუსეთის თვითმპყრობელობის მძიმე უღელს, მაგრამ მაინც იძულებული იყვენ დამორჩილებოდენ რუსეთის სახელმწიფოს. რევოლიუციის დაწყების შემდეგ რუსეთის ორიენტაციამ მიიღო რევოლიუციონური ხასიათი. ადგილობრივი ერები იბრძოდენ რუსეთის დემოკრატიასთან ერთად. ამიტომ იყო რევოლიუციის პირველ დღეებში მათ არ წამოუყენებიათ თავის ინტერესები და ცდილობდენ საერთო საქმის საერთო ძალღონით განმტკიცებას. მაგრამ ბედს სულ სხვა სურდა ალბათ ჩვენთვის. ოქტომბრის გადატრიალებამ გამოიწვია ერთი მთლიანი ფრონტის დაშლა; ბალშევიკურ რუსეთის მოძრაობამ დაჰკარგა თავისი იდეიური სახე და მიიღო სოციალიზმის საწინააღმდეგო ხასიათი. ამნაირათ, რუსეთში ამ ჟამათ არის მოძრაობა რეაქციონური. ჩვენ უნდა უარვყოთ ეს მოძრაობა (ტაში; ისმის ხმა: „ძირს". ხმაურობა). ერთად ერთი გამოუკიდებლობის გამოცხადება და ფედერატიული რესპუბლიკის შექმნაა (ტაში).

გარდა ამისა, სახალხო კომისართა საბჭომ მისცა ამიერ-კავკასია ოსმალეთს. ამიერ-კავკასიის ხალხი დარწმუნებული იყო, რომ მას დაეხმარებოდა რუსის ხალხი, მაგრამ ჩვენი მოწოდება ამ მხრით, საუბედუროთ, დარჩა „ხმათ მღაღადებლისა უდაბნოსა შინა". ამ ჟამათ საფრთხე ორი მხრიდან მოგველის და ასეთ შემთხვევაში რყევა—დამღუპველია. დამოუკიდებლობის გამოცხადება არის აქტი პოლიტიკური აუცილებლობით გამოწვეული. დამოუკიდებლობის წინააღმდეგ მოყავთ ეკონომიური მოსაზრებები, მაგრამ რუსეთში ხომ კიდევ უფრო ძლიერია ეკონომიური კრიზისი და იქიდან ჩვენ დახმარებას ვერ მივიღებთ. მოყავთ ფინანსიური მოსაზრებები. მაგრამ ფინანსიური მხარე არც რუსეთში არის მოწესრიგებული. სამაგიეროთ, ჩვენს მხარეში ბევრი მოიპოვება ბუნებრივი სიმდიდრე და თუ დამყარდა ნორმალური პირობები, მაშინ ჩვენი ფინანსიური პოლიტიკაც გაუმჯობესდება. ვიღებთ რა ყოველივე ამას მხედველობაში, კომისიის სახელით წინადადებას ვაძლევთ სეიმს, გამოაცხადოს დამოუკიდებლობა ამიერ კავკასიის ფედერატიულ რესპუბლიკისა. ეს რესპუბლიკა შედის საერთაშორისო დამოკიდებულებაში, მიწა უნდა ეკუთვნოდეს ხალხს, მთავრობამ უნდა მიიღოს სასტიკი ზომები ანარქიის წინააღმდეგ და მოიგერიოს მტრები, რომლებიც ემუქრებიან ამიერ-კავკასიის მთლიანობას, რომელი მხრიდანაც არ უნდა მოდიოდეს ეს მტერი. ხალხთა შორის ძმობა —აი თავდები ამიერ-კავკასიის ფედერატიულ რესპუბლიკის აყვავებისა და დიდებისა (ხანგრძლივი ტაში).

რასულ-ზადე (მუსავ.). როცა ამიერ-კავკასიის ერები ეზიდებოდენ მძიმე უღელს, მათ ასულდგმულებდა საერთო მიზანი—ძველი რუსეთის თავისუფალ რუსეთათ გარდაქმნა, სადაც ყველა შესძლებდა თავისუფლათ ცხოვრებას. რევოლიუციის საშუალებით უნდა მიგვეღწია ამ მიზნისათვის, მაგრამ მოხდა სასწაული, რომელმაც სასოწარკვეთილებაში ჩააგდო ისინი, ვისაც უნდა ენახა დემოკრატიული რუსეთი. დღეს თავისუფლების ნაცვლად, ანარქიაა გაბატონებული, დიდი ლოზუნგი თვითგამორკვევისა ასე შესცვალეს: გამოერკვიე, მაგრამ ცენტრის ბრძანების თანახმათ. და ამ რუსეთმა შეკრა ზავი ამიერ კავკასიის ხალხთა ხარჯზე. ამიერ-კავკასიის დემოკრატიამ უნდა დაიცვას რევოლიუციონური მონაპოვარი და არ უნდა შესწიროს იგი მსხვერპლათ არც რუსეთს და არც ოსმალეთს. და დამოუკიდებლობაც უნდა გამოვაცხადოთ არა შიშით, არამედ —სინიდისის ქვეშ, და ეს მოგვცემს საშუალებას თავი დავიცვათ მაგრამ სამწუხაროთ, ეს ხდება გვიან, როცა უკვე წავართვეს სამი ოლქი. მაგრამ დამოუკიდებლობის გამოცხადებით ჩვენ უზრუნველს ვყოფთ ამიერ კავკასიის თავისუფალ განვითარებას და ამით შეიძლება გამოვისყიდოთ კიდეც დანაკარგი.

გრ. გიორგაძე. პრინციპიალურათ ეს საკითხი უკვე გადაჭრილია. დღეს მომწიფდა ობიექტიური პირობები, რაც გვიკარნახებს დამოუკიდებლობის გამოცხადებას. ეს პირობებია ის ფაქტი, რომელსაც ჩვენ განვიცდით, ჩვენ ვცხოვრობთ დამოუკიდებლათ. ამიერ კავკასიას არ შეუძლია იცხოვროს განცალკევებულათ, თუ ის არ შევიდა საერთაშორისო დამოკიდებულებაში. ამისათვის კი საჭიროა, რომ ამიერ კავკასიას ჰქონდეს თავისი გარკვეული სახე. იგი უნდა შევიდეს ევროპის სახელმწიფოთა ოჯახში. დამოუკიდებლობა აუცილებლათ საჭიროა. ამას ადგილობრივი პირობებიც გვიკარნახებს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ დამოუკიდებლობა შეართებს ადგილობრივ ერებს და დააუძლურებს გამთიშავ ძალას. მაშინ თავდაცვაც უზრუნველყოფილი იქნება. არ შემიძლია დავმალო, რომ ჩვენს ფრაქციაში არის მეორე თვალსაზრისი, რომლის თანახმათ დამოუკიდებლობას არ შეუძლია ჩვენი ხსნა. მაგრამ მათ სურთ, რომ მათი მოლოდინი არ გამართლდეს და ახლა კი ისინიც მთელი ძალ-ღონით შეეცდებიან, რომ ამიერ კავკას. დაიკავოს შესაფერი ადგილი (ტაში).

თუმანოვი. (ს.-რ.) სოც.-რევოლიუციონერთა პარტიის საოლქო კომიტეტის იმ ნაწილის სახელით, რომელიც წინააღმდეგია დამოუკიდებლობისა, ვაცხადებ, რომ ჩვენ ყოველთვის მომხრე ვიყავით ერთა თავისუფლების თვით დამოუკიდებლობამდეც კი, მაგრამ დღეს ამიერ კავკასიის დამოუკიდებლობის წინააღმდეგი თუ ვართ,—ეს მხოლოდ მიზანშეწონილობის თვალსაზრისით. დამოუკიდებლობის იდეა გამოდის ოსმალეთის იმპერიალისტებისაგან და არ ეთანხმება ამიერ-კავკასიის ერების ინტერესებს. რატომ დამფუძნებ. კრების არჩევნების დროს არ სთქვით, რომ მოითხოვდით დამოუკიდებლობას, რატომ ხალხს არ ეკითხებით, რატომ რეფერენდუმს არ აწყობთ? რუსეთის ორიენტაცია არის რევოლიუციონური და არა რეაქციონური. დამოუკიდებლობა ამიერ-კავკასიას ჩააგდებდა ოსმალეთის მონობაში. ამიტომ ჩვენ ვერ დავუჭერთ მას მხარს.

ი. სემიონოვი (კ.-დ.) ეხება საკითხის ისტორიას და დაასკვნის, მუსავატისტებმა გაიძულეს თქვენ მიგეღოთ დამოუკიდებლობა, თორემ თქვენ არავითარი პრინციპიალური საბუთი არა გაქვთ ამის სასარგებლოთ. ორატორი წინადადებას იძლევა მოწვეულ იქნას ახალი საკანონმდებლო დაწესებულება, ვინაიდან სეიმს არ შეუძლია ამ საკითხის გადაჭრა.

მ. გვაზავა (ერ.-დ.) დღევანდელ პირობებში ახალ საკანონმდებლო დაწესებულების მოწვევაზე ლაპარაკი —ეს ნამდვილი პროვოკაციაა (ტაში), საკითხი ასე დგას: ჩვენ მივისწრაფით ევროპისაკენ და ამისთვის დღეს საჭირო შეიქნა მეორე ორიენტაცია. დამოუკიდებლობის გამოცხადება იმას ნიშნავს, რომ ჩვენ თვით ვარჩევთ ჩვენს საქმეებს. ფინანსიურ-ეკონომიური მოსაზრებითაც საჭიროა დამოუკიდებლობის გამოცხადება, მაშინ, სხვათა შორის, რუსეთის ვალს მაინც არ გადავიხდით (სიცილი). შემდეგ ორატორი ეხება 1783 წ. ტრაქტატს და ამბობს, რომ რუსეთს არ ჰქონდა უფლება დაეღვარა ქართველების სისხლი კარპატების რაიონში და არ შეუძლია გადაგვახდევინოს თავისი ვალიო.

ივ. ლორთქიფანიძე სოც.-რევ. პარტიის საოლქო კომიტეტის მეორე ნაწილის სახელით მხარს უჭერს ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობას.

დამოუკიდებლობის მომხრენი არიან აგრეთვე კაჩაზნუნი (დაშ.) გ. ლასხიშვილი (ს.-ფ.) ა. კანტემიროვი (მუს. სოც. ბლ.). შეიხ-ულ-ისლამოვი (ჰუმეტი) და ალამალოვი, რომელიც აცხადებს, რომ ამიერ-კავკასიის საზღვრებში შემოვა დაღესტანის ოლქიც.

მ. არსენიძე. ჩვენ გადავსწყვიტეთ გამოვაცხადოთ დამოუკიდებლობა. ჩვენს პარტიას ერთის ხელის მოსმით არ მოუშორებია თავის სახელწოდების ნაწილი, რომლითაც ასე ამაყობდა. პარტია ამაყობდა იმ მუშაობით, რომელსაც ჩვენ რუსეთის დემოკრატიასთან ერთათ ვაწარმოებდით და მე მინდა მივმართო რუსეთის დემოკრატიას, არა საბჭოებს, არამედ ნამდვილ დემოკრატიას, რომელიც სისწორით გაიგებს ჩვენ ჩამოშორებას რუსეთზე. სულიერი კავშირი ჩვენს შორის კვლავ იარსებებს, ჩვენ კვლავ აღგვაფრთოვანებს ის იდეები, რომლებითაც ამდენ ხანს ვიყავით გატაცებული. რომ პირობები არ გვაიძულებდეს, ჩვენ დღესაც არ გამოვაცხადებდით დამოუკიდებლობას, მაგრამ დღევანდელი მდგომარეობა მოითხოვს ახლავე მოვიმოქმედოთ ეს. ამბობენ, რომ დამოუკიდებლობა არაფერს არ მოგვცემსო, მაგრამ თუ ამას მოითხოვს დემოკრატიის ინტერესები, ჩვენ უნდა მოვითხოვოთ იგი. სამწუხარო იქნებოდა, რომ რუს. დემოკ. წარმომადგენლებს ზურგში ჩაეცათ ჩვენთვის მახვილი, მაგრამ ამას ისინი არ იზამენ და საზღვარის იქეთა მხრიდანაც გაგვიწევენ დახმარებას, ვინაიდან მათ იციან ლოზუნგი: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით"... (ტაში). ამბობენ, რომ ჩვენი ორიენტაცია არის ოსმალეთის ორიენტაცია. ჩვენ ვაცხადებთ, რომ იგი სწორეთ ოსმალეთის წინააღმდეგაა მიმართული. ბალშევიკურ რუსეთის ლიდერებმა გვითხრეს, არ გაგვეწია წინააღმდეგობა ოსმალეთისათვის. ჩვენ უარვყავით ასეთი წინადადება. რუსეთი ხომ გერმანიის ორიენტაციის ორბიტაშია მოქცეული. ჩვენც ასეთ მდგომარეობაში ჩავარდებოდით და აი, ვიცავთ კიდეც თავს. მოწინააღმდეგენი გვთხოვენ გარანტიას. არის ერთი გარანტია— ყველა შეერთდებიან და ამიერ-კავკასიის დემოკრატია დაინახავს თავდაცვის აუცილებლობას. ჩვენთვის საჭიროა გამოვიდეთ ომიდან. რუსეთმა ეს ვერ შესძლო და თუ ჩვენ მოვახერხეთ დემოკრატიის დაცვა,—ეს საუკეთესო თავდები იქნება იმის, რომ ამიერ-კავკასია შესძლებს დამოუკიდებლათ არსებობას. არც ერთ ერს არ შეუძლია ობიექტიურ პირობების გამო დაიმორჩილოს მეორე და დემოკრატიამ უარი თქვას თავდაცვაზე ასეთ პირობებში,—მე ხელი უნდა ავიღო დემოკრატიულ პრინციპებზე ანდა დემოკრატია არასოდეს არ დაუშვებს ამას და თავს დაიცავს (ტაში).

თუმანოვი. (ს.-რ.) კვლავ აცხადებს, ჩვენ მხარს არ დაუჭერთ ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობასო.

ი. გობეჩია. (ს.-რ.) აცხადებს, ჩვენ ხმას მივსცემთ დამოუკიდებლობასო.

დ. ონიაშვილი უპასუხებს უმთავრესათ ი. სემიონოვს, რასულ-ზადე—თუმანოვს.

მიღებულ იქნა ს.-დ. ფრაქციის მიერ წარდგენილი შემდეგი რეზოლიუცია: 1) აღიარებულ იქნას ამიერ-კავკასიის დამოუკიდებელი ფედერატიულ-დემოკრატიული რესპუბლიკა, ეცნობოს ეს სხვა სახელმწიფოებს; 2) მიენდოს მთავრობას შეიმუშავოს კონსტიტუცია.

წინააღმდეგ მხოლოდ ორმა მისცა ხმა. დამოუკიდებლობის გამოცხადებას ყველა აღფრთოვანებითა და ოვაციებით შეხვდა.

შემდეგ სამშვიდობო დელეგაციის თავმჯდომარემ აკ. ჩხენკელმა გააკეთა მოხსენება საზავო მოლაპარაკების შესახებ. (ეს მოხსენება ცალკე იბეჭდება ჩვენს გაზეთში).

მოხსენების შემდეგ კამათი არ გაუმართავთ. მიიღეს სოც.-დემოკრატიული ფრაქციის სახელით გრ. გიორგაძის მიერ წარმოდგენილი შემდეგი რეზოლიუცია: „მოისმინა რა მოხსენება საზავო მოლაპარაკების შესახებ, სეიმი წინადადებას აძლევს მთავრობას განაგრძოს საზავო მოლაპარაკება და მიიღოს ზომები, რომ საჩქაროთ შეწყდეს საომარი მოქმედება და ჩამოვარდეს ზავი. და ამავე დროს მიიღოს ზომები ქვეყნის დასაცავათ".

მუსავატელებმა წამოაყენეს საკუთარი რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვდა დელეგაციისათვის ნდობის გამოცხადებას და ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულობის ცნობას. ეს რეზოლიუცია უარყვეს.

თავისებური ლამაზი სიტყვა წარმოსთქვა ალ. ხატისოვმა, რომელმაც სხვათა შორის სთქვა, რომ საჭიროა ამიერ-კავკასიის ნორჩ სახელმწიფოს აღორძინებას აქტიურათ ხელი შეუწყოს ყველა ადგილობრივ ერებმაო.

დასასრულ, თავმჯდომარე კითხულობს მთავრობის თავმჯდომარის ევგენი გეგეჭკორის განცხადებას. ვინაიდან ზავის საკითხმა უთანხმოება გამოიწვია მთავრობის წევრთა შორის, მთავრობას აუცილებლათ მიაჩნია გადადგესო.

ახალ მთავრობის შედგენა მიენდო აკაკი ჩხენკელს. ამ გარემოებამ ხანგრძლივი ტაში გამოიწვია.

სხდომა ღამის 2 საათზე დაიხურა.

ვ. ალათიშვილი.

## კავკასიის ფრონტი

(ოფიციალური ცნობა).

10 აპრილი.

**შავი ზღვის პირის მიმართულება.** სადგურ ნატანების სამხრეთით პოზიციებზე კანტი-კუნტი სროლაა.

დამატებითი მოხსენების თანახმათ, 8 აპრილს ჩვენი შეტევის დროს მდ. ჩოლოქსა და ოჩხამურას შუა ოსმალები განდევნილ იქნენ 4 ვერსზე. ტყვეთ ჩაგვივარდა ხელში 2 ასკერი და 20 ვინტოვკა წამოვიღეთ. ბრძოლის ველზე 80 მკვდარი ოსმალოს გვამები დავთვალეთ.

ჩვენმა ჯარმა ხელ-ახლა დაიკავა წინანდელი პოზიციები მდ. ჩოლოქზე.

ზეკარის და არდაგანის რაზმებში ცვლილება არ მომხდარა.

**სარიყამიშის მიმართულება.** 9 აპრილს გათენებისას საარტილერიო სროლის შემდეგ ოსმალებმა შემოტევა და-

## პეტროგრადის მუშები

(დასასრული).

**კამერმახერი**—ბალშევიკების მთავრობა თავიდანვე ბეჭდვითი საქმის მუშათა საწინააღმდეგო პოლიტიკას აწარმოებს. მათ ბეჭდვითი სიტყვის წინააღმდეგ ამხედრებით და სხვა ზომებით სტამბის მრეწველობას ბოლო მოუღეს. ყველა დიდი გაზეთების სტამბები ხელში ჩაიგდეს, მაგრამ მთავრობას საჭირო კაცები არა ჰყავს, რომ ეს სტამბები გამოიყენოს. მაგალითათ „ნოვოე ვრემია"-ში წინათ მუშაობდა ხუთასი კაცი, ეხლა კი ას ორმოცდა ათი და სხვა. ასე რომ უმუშევრობა ფართეთ ფეხს იკიდებს და ამ გარემოებას კი არავინ ყურადღებას არ აქცევს. კავშირის გამგეობაც არავითარ ზომებს არ ღებულობს ამის წინააღმდეგ. უმუშევრებმა წინადადება მისცეს გამგეობას მიეღო სხვადასხვა ზომები, მაგრამ ეს ყურად არ იღეს. მუშები ერთ უმთავრეს ზომათ სთვლიან ბეჭდვითი სიტყვის შესახებ დეკრეტის გაუქმებას. მუშებმა ხმა უნდა აღიმაღლონ ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლების შესახებ. წინადადებას ვიძლევი გავგზავნოთ დელეგატი ბეჭდვითი საქმის მუშათა კავშირში და განვუცხადოთ ყველა ჩვენი მოსაზრებები ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლებისთვის ბრძოლის შესახებ.

კრება ღებულობს შემდეგ რეზოლიუციას ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლების დაცვის შესახებ:

„ოქტომბრის სახელმწიფოებრივ გადატრიალების დღიდან ბალშევიკების ერთ უმთავრეს მიზნათ დაისახა ბრძოლა გაუწიოს თავისუფალ სიტყვას, ყველა გაზეთები, რომლებმაც მათ მოქმედებას კრიტიკული თვალით შეხედეს, კონტრ-რევოლიუციონურ გაზეთებათ გამოაცხადეს და დახურეს.

„მთავრობა, რომელიც თავის თავს მუშათა და გლეხთა მთავრობას უწოდებს, თავისუფალ სიტყვას უფრთხის და განსაკუთრებით დიდის ხალისით ახრჩობს სოციალისტურ გაზეთებს, იმ გაზეთებს, რომლებსაც მუშები და გლეხები კითხულობენ.

მუშათა და გლეხთა მთავრობა უკრძალავს მუშებს და გლეხებს თავის გემოვნებაზე იკითხონ და აწვდის მათ მხოლოდ თავის გაზეთებს, არასოდეს ასე არ ყოფილა თავისუფალი სიტყვა დამხრჩვალი და ფეხქვეშ გათელილი, როგორც ამ საშინელ დღეებში, როცა მუშათა კლასს სამშობლოს და რევოლიუციის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი დაუდგა წინ. როგორც მეფის მთავრობას მეტათ ეშინოდა ომის დროს სიმართლის, ისე ეშინიათ სიმართლის ეხლა სახალხო კომისარებს, როცა მათმა საზიზღარმა და უგუნურმა პოლიტიკამ რუსეთი გერმანიას ჩაუგდო ხელში სამძიმნათ. ხალხის, მუშების ზურგს უკან გერმანელ მტაცებლებთან ბნელ საქმეებს აკეთებენ. პეტროგრადის მუშები ღვთის ანაბარა არიან მიტოვებულნი და ამ დროს მუშები ხმას ვერ იღებენ, რადგან მათ მოუსპეს ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება და პირზე კლიტე დაადევს. ყველა ამის გამო ჩვენ, პეტროგრადის ფაბრიკა-ქარხნების რწმუნებულნი მივმართავთ პეტროგრადის პროლეტარიატს და წინადადებას ვაძლევთ დაუყოვნებლივ შეუდგენ ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლებისათვის ბრძოლას. წინადადებას ვაძლევთ ყველა კრებებზე გამოიტანონ საპროტესტო რეზოლიუციები. გაგზავნონ დელეგაციები სმოლნში, ბეჭდვითი საქმის კავშირში და მოითხოვონ ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლების აღდგენა. უმეტესათ მივმართავთ ჩვენ ბეჭდვითი საქმის ამხანაგ მუშებს, რომლებსაც ბალშევიკური მთავრობა თავის თვითმპყრობელურ მოქმედების აღმასრულებლათ ხდის. ავალებს მათ შეასრულონ ჯაშუშის სამარცხვინო საქმეები და მას უმუშევრობის პირში აგდებს. ბეჭდვითი საქმის ამხანაგი მუშები მუდამ წინ იდგა, ის იყო პროლეტარიატის ავანგარდი, ამიტომ მათ არ უნდა დაივიწყონ, რომ საჭიროა დაეხმარონ მუშათა კლასს მოიპოვოს ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება. **მუშათა კლასმა უნდა იცოდეს მთელი სიმართლე".**

**სმირნოვი**—(პატრონების ქარხანა). ჩვენ ქარხანაშიაც დაიწყო ევაკუაცია ყოვლად უგეგმო და უთავბოლო: დღე ერთი განკარგულებაა და ხვალ სხვა.

ვიბორგის რაიონი მუდამ წითელ რაიონათ ითვლებოდა. მუშები, როგორც ერთი კაცი, ხელათ ფეხზე დგებოდა, როცა რამე საქმის შესრულებას ავალებდენ. ეხლა მათ ყოველივე მოქმედებას საშუალება მოუსპო წითელმა გვარდიამ. დიდი ხანი არ არის, რაც ჩვენ ქარხანაში შემდეგი ამბავი მოხდა: ქარხნის საზოგადო კრებაზე ევაკუაციის შესახებ ქონდათ ლაპარაკი. მუშა კუზმინმა წითელ გვარდიას „ჭირი" უწოდა. რამდენიმე წუთის შემდეგ შემოიჭრნენ შეიარაღებული წითელ გვარდიელები, გადმოიღეს თოფები და კრებას დაემუქრნენ—გესვრითო, მივარდენ კუზმინს და დასჭრეს ხიშტით და წითელ გვარდიელთა შტაბისკენ წაათრიეს.

ყველა იმ გარემოების წყალობით, რომლებზედაც აქ ილაპარაკეს, მუშები მარჯვნით გადადიან.

**ზოტოვი**—(მილების საკეთ. ქარხანა) ამბობს, რომ ევაკუაციის საქმე მეტათ აირ-დაირია, ქარხანაში არჩეული იყო ხელმძღვანელები, რომლებიც, როგორც შრომის სამინისტროში გამოირკვა, ყველანი წასულიყვნენ პეტროგრადიდან. საქმე შრომის გუბერნიის კომისარისთვის გადაეცათ. მან კი ამ საქმის არაფერი არ იცოდა. ჩვენ კრება მოვახდინეთ და გავაცნეთ რწმუნებულთა პირველ კრების ანგარიში. როცა დეკლარაცია წავიკითხეთ წითელ გვარდიის უფროსმა ხელიდან გამოგლიჯა დეკლარაცია და დაუწყო გამოკითხვა ვინ არის და რომელ სახელოსნოდან. აღშფოთებული მუშები გვარდიის უფროსს მისცვივდენ. რომ გადაერჩინა ორატორმა ტრიბუნაზე აათრია. უფროსმა ყვირილი დაიწყო და წითელ გვარდიელებს დაუძახა მოსულიყვნენ ტყვიის მფრქვეველებით და თოფებით. მუშებმა ფანჯრის მინები ჩაამტვრიეს. წითელ გვარდიელები შემოიჭრნენ თოფებით და მოინდომეს პრეზიდიუმის დაჭერა. პრეზიდიუმი აღარ დაუჭერიათ, მაგრამ ორატორი წაიყვანეს შტაბში, სადაც დახვრეტით დაემუქრნენ. მან მოახერხა გამოქცევა

**ზიმინი**—(იჟორის ქარხნები) წინათ ჩვენი მუშები უფრო თანაუგრძნობდენ ანარქისტებს, შემდეგ კი ბალშევიკებს გაჰყვნენ. ამ დღეებში წითელ გვარდიას უნდოდა მიტინგი გაერეკა და ტყვიის მფრქვეველებით დაემუქრა. მიტინგი მაინც გაიმართა და ბალშევიკებს „სულთათანა უგალობა".

მუშები ღელავენ, რადგან ფულს ვერ ღებულობენ. შლიაპნიკოვმა განკარგულება მოახდინა ქარხანა დაავირაონ, მაგრამ სალიკვიდაციო კომისია ამის წინააღმდეგია.

პეტროგრადიდან გამოსვლის ამბავი მეტათ აღელვებს მუშებს. უკვირთ რატომ კომისარები წავიდენ და მათ არ შეუძლიათ წასვლა. მუშებს მატარებლების აფეთქება უნდოდათ, მაგრამ შევაჩერეთ.

**კორომზოვი**—(ობუხოვის ქარხანა), ჩვენი ქარხნის კომიტეტი მუდამ ს.-რევოლიუციონერებისგან შესდგებოდა. მაგრამ ბალშევიკებმა მოახდინეს არჩევნების ფალსიფიკაცია და ეხლა იგინი იქ უმრავლესობას შეადგენენ. ოთხი თვის წინათ უნდობლობა გამოვუცხადეთ ქარხნის კომიტეტს, მაგრამ ამან ვერ გვიშველა. იგინი იცინიან, როცა უნდობლობას უცხადებენ. ქარხნის ყველა ორგანიზაციები გარეკეს. გვყავდა სხვადასხვა კომისიები, რომლებიც ბალშევიკებმა სულ გარეკეს. ბალშევიკების წინააღმდეგ მოძრაობა იზრდება. ეხლა ის ჩაიგდებს მეთაურობას, ვინც პურს მისცემს ხალხს.

**ბოგდანოვი**—აღნიშნავს როგორ უსისტემოთ სწარმოებს ევაკუაცია. როგორ ფართე ხასიათს ღებულობს უმუშევრობა. ორგანიზაციის საკითხის შესახებ ამბობს: ქარხნის კომიტეტები ტყვიისმფრქვეველებზე დაყრდნობილია და არც ფიქრობენ, თუ მათი გადაყენება შეიძლება. პროფესიონალური კავშირები მთავრობისგან დამოკიდებულ ორგანოებათ გადაიქცა. როცა ეს სოციალისტური ბურუსი გაიფანტება, მწარმოებლები შემოგვიტევენ და მუშები უიარაღოთ შეხვდებიან მათ, ყველა ამ საკითხების გადასაწყვეტათ და საქმის მოსაწესრიგებლათ საჭიროა მთავრობასთან ბრძოლა და აპარატის შექმნა.

**რაგოზინი**—(სახელ. სტამბა) საჭიროა მუშათა კლასის ორგანიზაციებთან ეხლავე შევუდგეთ პროფესიონალურ კავშირების, ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების და მუშათა და ჯარისკაცთა დეპ. საბჭოების ხელ ახალ არჩევნების მოხდენის საქმეს.

**კამერმახერი**—მუშებმა ერთი დიდი შეცდომა დაუშვეს, როცა ოქტომბერში ნება მისცეს მათი ორგანიზაციები მთავრობის ორგანოებათ გადაქცეულიყო, პროფესიონალური კავშირები დეპარტამენტებათ გარდააქციეს. საბჭოები კიდევ საგამომძიებლო, პოლიციურ დაწესებულებათ, ფაბრიკა ქარხნების კომიტეტები ყველაფერს აკეთებენ, გარდა მუშათა ინტერესების დაცვისა.

დასასრულ კრებამ აირჩია ბიურო და შეიმუშავა დეკლარაცია, რომელიც ჩვენს გაზეთში უკვე იყო დაბეჭდილი.

იწყეს ჩვენი ბეგლი-ახმედის რაზმის ნაწილების წინააღმდეგ. ოსმალებმა შემოუარეს ამ რაზმის მემარცხენე ფრთას ქ. აგადავას აღმოსავლეთიდან. აქ ჩვენმა რაზმმა დაიხია წინათვე გამზადებულ პოზიციაზე ვლადიკარსის დასავლეთით.

ყარსის სამხრეთ-აღმოსავლეთით მალოვორონცოვკის, პროხლადნაიას, რომანოვის მაცრის და ბაშკადიკლიარის რაიონებში გამოჩნდენ ქურთთა ბრბოები, რომელთა წინააღმდეგ გაიგზანა ჩვენი ჯარის ნაწილები.

## რადიო დეპეშები

ბაქოდან ის. რამიშვილს. მიღებულია 8 აპრილს. თფილისიდან ისიდორე რამიშვილის მეთაურობით სამშვიდობო დელეგაციის გამოგზავნის განზრახვის შესახებ ქ. ბაქოში, ბაქოს და მის რაიონების რევოლიუციონური თავდაცვის კომიტეტი აცხადებს, რომ არავითარ საზავო დელეგაც. საჭიროება არ არსებობს, არავითარი ძმათა შორის ომი ბაქოში არ ყოფილა. იყო და გრძელდება უკვე ბაქოს გარეშე სამოქალაქო ომი კონტრ-რევოლიუციონერ ბეგებას და ხანების წინააღმდეგ, რომელნიც თათრის მასას აუმხედრდენ, და მათთან არავითარ სამშვიდობო შეთანხმებას ადგილი არ უნდა ჰქნეს. ბაქოს პროლეტარიატს და ბაქოს მუშებს განურჩევლათ ეროვნებისა და სარწმუნოების, მათ შორის მუსულმან მუშებსაც, ყველა საპრეწველო რაიონებისა, რომელნიც შეკავშირებული არიან საბჭოს გარშემო, საკმაო ძალა აქვთ იმისთვის, რომ გასრისონ საბჭოთა მთავრობის მტრები. ეგრეთ წოდებული სოციალისტური ფრაქცია სეიმისა და მისი მხარის დამჭერი ამიერ-კავკასიის საბჭო, თვითონ არიან დამნაშავე კონტრ-რევოლიუც. ცეცხლის დაწყებაში, რომელიც განჯიდან გადაედვა ბაქოსაც. დელეგაციას, რომელსაც შეუმუშავებია როგორც [illegible] რამიშვილის დეპეშა, ზოგიერთი პირობები ზავისა, აშკარაა სურს ახალი სამსახური გაუწიოს ბეგებს და ხანების ბრბოს, რომელიც ამიერ კავკასიის კომისარიატის წყალობით არის შეიარაღებული, და ახლა ბაქოს საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ ილაშქრებს. თუ სეიმში ყოფილიყო ნამდვილი სოციალისტურ პარტიები, ისინი დაგვპირდებოდენ არა ზავს, არამედ შეიარაღებულ დახმარებას გაუწევდენ ბაქოს რევოლიუც. საბჭოს. ბაქოს პროლეტარიატი დიდი აღშფოთების და ზიზღის გრძნობით შეხვდებოდა სამშვიდობო დელეგაციას და ამიტომ ბაქოს და მისი რაიონების თავდაცვის რევოლიუციონური კომიტეტი სთხოვს დელეგაციას აქ ჩამოსვლელათ თავს ნუ შეიწუხებს. ხელს აწერენ კომიტეტის წევრები: შაუმიანი, ჯაფარიძე, კორღანოვი.

## ახალი ამბები

◆ ახალი კაბინეთის შედგენა მიენდო აკაკი ჩხენკელს. ფოსტა-ტელეგრაფის სამინისტრო როგორც გავიგეთ გაუქმებული იქნება და მისი საქმეები გადაეცემა შინაგან საქმეთა სამინისტროს. ახალ კაბინეთში უმრავლესობა ისევ ძველი მინისტრები დარჩებიან. საზღვაო სამინისტრო გაუქმებულ იქნება. სამხედ. მინისტრათ გრ. გიორგაძეს ასახელებენ.

◆ **სამსახურის გარეშე მყოფ აფიცერთა გადასახლება.** თფილისის დამცველ შტაბის უფროსმა მთავრობას მოხსენება წარუდგინა, რომელშიაც აღნიშნავს, რომ მას განზრახვა აქვს თფილისიდან გადაასახლოს ყველა სამსახურის გარეშე მყოფი აფიცრები და სხვა კონტრ რევოლიუციონერები.

◆ **ტყვეების საკითხი.** შესდგა კომისია, რომელშიაც შევლენ შინაგან საქმეთა, სამხედრო და იუსტიციის მინისტრი, რომლებმაც უნდა მოაწესრიგონ ტყვეების გაცვლის საქმე შვეციით საგანგებო მისიასთან ერთად, რომელიც ამ ჟამათ თფილისში იმყოფება.

◆ **ოჯახებში მოსამსახურეთა** კავშირის გამგეობა აცხადებს, რომ თანახმად ამიერ-კავკასიის კომისარიატის დეკრეტის 8 საათის სამუშაო დღისა, ოჯახში მოსამსახურეებმა მუშაობა უნდა დაიწყონ დილის 7 საათზე და გაათავონ საღამოს 5 საათზე ორი საათის დასვენებით. კვირაში ერთ დღე დასვენება ორივე მხრით შეთანხმებით. ვინც ამ დადგენილებას დაარღვევს პასუხისგებაში იქნება მიცემული.

◆ **ბენია ჩხიკვიშვილის ჩამოსვლა.** გუშინ თფილისში ჩამოვიდა სოხუმის ქალაქის თავი, რომელიც ამას წინათ ბოლშევიკებმა დაატუსაღეს. ის გაუნთავისუფლებიათ ექვსი დღის ტყვეობის შემდეგ.

◆ **ვალოდია გოგვაძე.** გუშინვე ნატანებიდან ჩამოვიდა ვალოდია გოგვაძე თავის ჯავშნიანი მატარებლით. მატარებელი ტყვიებით საცერივით არის დაცხრილული. თითონ დაჭრილია ექვს ალაგას.

◆ **ანარქიათან ბრძოლა.** მილ. უფრ განკარგულებით დაატყვევეს რუსის კორპუსის ჯარისკაცები საპიცკი და ბონდარენკო ცეიხგაუზიდან ნივთების მოპარვისათვის, 1 კავკასიის მუშათა ბატალიონის ჯარისკაცი მნაცაკანოვი და სამხედრო მოხელე თაშარინცევი.

## გველი და ძერა

გველმა მიწიდგან ამოყო თავი,
ცბიერათ იწყო სივრცეში მზერა,
პაპანაქება, დღე არის მწვავი,
ქვაზე ყუჩს იქვე მინდორში ძერა!..
შეკრთა, აიჭრა ძარღვებში სისხლი,
გულმა გაკმედით დაიწყო ძგერა;
ელდა ელვაზე უფროა მკვირცხლი,
ახლო თუ იგრძნო მან ბედისწერა.—
შენს დამფრთხალს გულზე ქვეყანავ ჩემო,
მტარვალმა თვისი მსხვერპლი დაზვერა
და ხვედრი შენი საანათემო
ვიცნო, ვიწამო,—არ მინდა ჯერა!
გოდება მესმის, სისხლის ყიჟინა,
ვაების ტაში, ბორკილთა ჟღერა,
ნეტა ვიცოდე ვინა ზის შინა,
ბნელა, ჩამქრალა სამშობლო კერა.
ჩვენსკენ მოსცურავს მონობის ხუნდი
თავისუფლებამ ვერ შეაჩერა,
გადმოგვეფინა ყორნების გუნდი,
მე-კი დაღუპვა კიდევ არ მჯერა.
ჩემო ქვეყანავ, გონს მოსვლა მინდა,
მასწავლე ჩემო, შენს გულში ცქერა;
იქ სიყვარული ვითარს წმინდა,
ან როგორ ისმის იქ სისხლის ჩქერა?
თუ მტარვალები შემოგვესია,
გველი მოგვშხამავს და შეგვჭამს ძერა,—
მოვნახოთ მხსნელი ჩვენი მესსია,
გავსდევნოთ მტერი და გაიძვერა.
აყეფებულა ძარღვებში სისხლი,
თუ ახლოს არის აქ ბედის წერა:
დავკრათ ნაბიჯი მტკიცე და ფიცხლი,
შევქმნათ სიცოცხლის მგზნები სიმღერა!
გველმა ამოყო მიწიდან თავი
და მას მინდვრიდგან გასცქერის ძერა!..

ვ. ტუქსიშვილი.

8 აპრილი 1918 წ.

◆ **ჩხრეკა და იარაღის აღმოჩენა.** 9 აპრილს თფილისში მრავალ ადგილას მოხდა ჩხრეკა. აღმოაჩინეს დიდძალი იარაღი და პატრონა და ორი ტყვიისმფრქვეველი.

◆ **ამიერ-კავკასიის რკინის გზების** კანტროლს წინადადება მისცა სახელმწიფო კანტროლერმა წარუდგინოს მას ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენი მისცეს 1917 წლის განმავლობაში რკინის გზის მოსამსახურეებს ერთდროული დახმარება და დღიური.

◆ **ტფ. მუშათა და ჯარის კაცთა** დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა წინადადება მისცა ქალაქის გამგეობას ერთი კვირის განმავლობაში მოჰკრიბოს გადასახადები. აღმასრულებელი კომიტეტი დახმარებას ჰპირდება.

◆ **დუხაბრების შუამდგომლობა.** ყარსის ოლქის დუხაბრების 9 სოფელმა შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე გაანთავისუფლოს სამხედრო ბეგრისგან, რადგან ამას უკრძალავს მათ სარწმუნოება, ახლო მომავალში ეს ცხრა სოფელი თავრიდის გუბერნიაში გადასახლებას აპირებს.

◆ **ქუთაისის ქალაქის თავის შუამდგომლობა.** ქუთაისის ქალაქის თავმა დეპეშით აცნობა კავკასიის ქალაქთა კავშირს, რომ რადგან ქალაქის საავათმყოფო ჩაქვში დაჭრილებით აივსო, გთხოვთ მედიკამენტი გამოგზავნოთო.

◆ **ლანჩხუთის ქალაქის გამგეობამ** შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე მიეცეს 60 ათასი მანეთი გრძელ ვადიანი სესხი და 100 ათასი მანეთის შემწეობა სურსათისთვის, ვინაიდან ფრონტი ახლოს არის აქ და სურსათის კრიზისიაო.

### კრებები და მიტინგები.

დღეს საღამოს 5 საათზე სასახლის თეთრ დარბაზში დანიშნულია მუშათა დეპ. საბ. ამიერ-კავკასიის ცენტრის კრება.

— 11 აპრილს საღამოს 7 ს., რეალურ სასწავლებლის შენობაში გაიმართება გეოგრაფიული საზოგადოების გამგეობის კავკასიის განყოფილების კრება.

— დღეს, საღამოს სრულ 6 საათზე შესდგება არა-ჩვეულებრივი კრება მე-4 რაიონის კოლექტივის ბიუროს ბინაზე, უდელნი ქ. № 3, მნიშვნელოვანი კითხვების განსახილველათ. კრება შესდგება რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

## პროვინციის ქრონიკა

ბორჯომი. მობილიზაცია, რომელიც გორის მაზრაში 2 აპრილს გამოცხადდა, კარგად ტარდება. ბორჯომის და ბაკურიანის საზოგადოებებში 12 აპრილს უნდა გამოცხადდენ გორში. 28 წლის ზევით ჯარისკაცებიდან დგება მოხალისეთა რაზმი, რომელიც დაიცავს ადგილობრივი მუსულმანების საზღვარს პარტიზანულ გამოსვლებისაგან. ამ ჟამად ორასამდე შეიარაღებული რაზმი იცავს აწყვერის საზღვარს.

სამწუხაროდ, ვერ არის კარგი განწყობილება და ნდობა ამ რაზმის და ადგილობრივ მდგარ ქართულ გარნიზონის შორის. ესენი, როგორც გაუწვრთნელნი, ჯერჯერობით გამოუსადეგარი არიან ყოველგვარ გაჭირვების დროს და ამიტომ მოითხოვს ადგილობრივი რაზმელება მათ ადგილას მცოდნე და გამოცდილ ჯარის კაცების ჩაყენებას, ვინაიდან ამ ჟამათ ბორჯომი საომარ პუნქტად არის ჩათვლილი. თავდაცვის საქმეში მონაწილეობის მიღების სურვილი განაცხადა გუჯარეთის ოლქმაც, რომელთაც დელეგაცია გამოუგზავნეს ქართველებს.

ნოდე.

## ტრაპიზონის საზავო მოლაპარაკება

(ამიერ-კავკასიის სეიმის დელეგაციის მოხსენება ოსმალეთთან სამშვიდობო მოლაპარაკების შესახებ).

1918 წლის 16 თებერვლის კრებაზე ამიერ-კავკასიის სეიმმა ერთხმათ დაადგინა აირჩიონ საგანგებო დელეგაცია ოსმალეთთან სამშვიდობო მოლაპარაკების დასაწყებათ. ამ დელეგაციაში შევიდენ: თავმჯდომარე ა. ი. ჩხენკელი, წევრები: ჰაიდარბეგ აბაშიძე, შ. გ. გადჯინსკი, ი. ბ. ჰაიდაროვი, გ. ბ. გვაზავა რ. მ. კაჩაზნუნი, გ. მ. ლასხიშვილი, მ. ი. მეხტიევი, ხ. ბ. ხასმამედოვი, ა. ი. ხატისოვი და ა. ა. შეიხ ულ-ისლამოვი. პარტიული შემადგენლობა ასეთი იყო: ორი სოც. დემოკრატი, 2 დაშნაკცაკანი, ორი მუსავატისტი, ერთი მუსულ. სოც. ბლოკი, ერთი ჰუმეტის ჯგუფის, ერთი რუსეთის მუსულმანთა პარტიის, ერთი ს. ფედერალისტი და ერთიც ნაც.-დემ. დანარჩენი პირნი ზოგი თვით დელეგაციამ მიიწვია. სხვადასხვა უწყებებთან შეთანხმებით სამხედრო უწყებიდან—გენ.-მაიორი ლევანდოვსკი და პოლკოვნიკი ესაძე, კაპ. პრიტომანოვი და სხვ. სულ ათი კაცი. საფ ნანსო უწყებიდან—ბუნიატიანი, სავაჭრო-სამრეწველო ქიქოძე. გარდა ამისა მცოდნე პირნი: ბაბახანიანი, გოგიჩაიშვილი, ყიფშიძე და რასულ-ზადე. საქმის მართვა-გამგეობა მინდობილი ქონდა გამგე თუმანოვს, მის თანაშემწე მიქელაძეს და ნანეიშვილს. დრაგომანი ექ. ვ. ღამბაშიძე და ორი მთარგმნელი. გარდა ჩამოთვლილ პირებისა დელეგაციაში შევიდენ პოლიტიკურ პარტიებიდან მდივნები: ვეშაპელი, პეპინოვი, ფირცხალავა და ტერ-მინასიანცი; თავმჯდომარეს პირადი მდივნები ქუთათელაძე და გოგოლაშვილი, სამეურნეო ნაწილის გამგე შოტნიევი და მოსამსახურენი.

დელეგაციის ტრაპიზონში გამგზავრება შეჩერდა, რადგან 17 თებერვალს რუსეთის სამშვიდობო დელეგაციის მდივან კორხანისაგან დეპეშა მოვიდა, რომლითაც იტყობინებოდა, რომ მეორე დღეს მოხდებოდა ბრესტ-ლიტოვსკში საზავო ხელშეკრულობაზე ხელის მოწერა, რომლის თანახმათ ბათუმი, ყარსი და არტაანი ოსმალეთის ხელში გადადიოდა. რადგან დელეგაციას არავითარი ცნობა არ ქონდა როგორ მოიქცეოდა მომავალში ოტომანის მთავრობა, მან გაგზავნა ტრაპიზონში და ოსმალეთის ბანაკში შეკითხვა და იძულებული გახდა თფილისში ეცადა პასუხისთვის. ბოლოს როგორც იქნა, 22 თებერვალს ტრაპიზონის სიმაგრის უფროსის გენ. კოლოსოვსკიდან დეპეშა მოვიდა, რომ იმ დღეს უნდა მისულიყო ტრაპიზონში ოსმალთა დელეგაცია, ამიტომ ამიერ-კავკასიის დელეგაცია გაემგზავრა ბათუმში და იქიდან კრეისერ „კაროლ კარლ“ ზედ ტრაპიზონში, სადაც მივიდა 23 თებერვალს საღამოს. 27 თებერვლამდე დელეგაცია გემზე იყო, რადგან ადგილობრივმა ვალიმ მოითხოვა დელეგაციის მხლებ შეიარაღებულ ორმოცდა ათი კაცის იარაღის აყრა. ოსმალები ამბობდენ, რომ ჩვენ მათი სტუმრები ვიყავით და სამშვიდობო დელეგაციას შეიარაღებული ხალხი არ უნდა ახლდესო. ამიერ-კავკასიის დელეგაცია იმ აზრს ადგა, რომ ტრაპიზონი ნეიტრალური პუნქტია, ის არც ოსმალებს ეკუთვნის და არც რუსეთს და ამიტომ დელეგაცია არ უნდა იყოს რაიმე მხრით შეზღუდული. ეს კითხვა გადაუწყვეტელი დარჩა ოსმალთა დელეგაციის მოსვლამდე, რომელიც 27 თებერვალს მოვიდა საღამოთი, იმ დროს, როდესაც ჩვენი დელეგაცია სამი დღის ცდის შემდეგ ბათუმში დაბრუნებას აპირებდა, რომ იქ ეცადა ოსმალთა დელეგაციისთვის იმავ დღეს დელეგაციის წევრები სადარბაზოთ მივიდენ ერთი მეორესთან და შემდეგ თავმჯდომარეებმა ინახულეს ერთმანეთი და ამიერ-კავკასიის დელეგაციამ წერილობითი შეკითხვა წარუდგინა ოსმალებს ნიშნავს თუ არა სამშვიდობო მოლაპარაკებაზე უარის თქმას ვეხიბ ფაშას მოთხოვნა ყარსის, არტაანის და ბათუმის დაცლის შესახებ. ოსმალთა დელეგაციის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მათი დელეგაციის ტრაპიზონში მისვლა ნიშნავს იმას, რომ პორტას სურვილი აქვს დაიწყოს ამიერ-კავკასიასთან მოლაპარაკება, რაც შეეხება ვეხიბ ფაშას მოთხოვნას, ამის შესახებ მან არაფერი არ იცის. იმავ დღეს საღამოს ამიერ-კავკასიის დელეგაცია გადავიდა მისთვის მომზადებულ შენობაში და მხლებელნი გემზედ დასტოვა.

კონფერენცია გაიხსნა პირველ მარტს. კონფერენციას სულ 6 კრება ჰქონდა. თავმჯდომარეობდა ოტომანის დელეგაციის თავმჯდომარე რაუფ-ბეი. ამიერ-კავკასიის დელეგაციამ განაცხადა, რომ თავმჯდომარეობა მორიგეობით ორივე დელეგაციის თავმჯდომარეებმა უნდა იდოს, მაგრამ რადგან დიდათ მნიშვნელოვანი საქმე ქონდა დაკისრებული ამიერ-კავკასიის დელეგაციას გადასწყვიტა უთანხმოება რომ არ ჩამოვარდნილიყო, მოხსნა თავისი წინადადება მორიგეობით თავმჯდომარეობის შესახებ. კონფერენციის წინ თავმჯდომარეების სანახევროთ ოფიციალურ ბაასიდან გამოირკვა, რომ ოსმალეთის მთავრობას სურს შეჰკრას ამიერ-კავკასიასთან ძმური და ხანგრძლივი ზავი. „რომ ამდენ ჭრილობის შემდეგ უნდა დადგეს იარების გამრთელების დრო“. და რომ ოსმალეთის დელეგაცია მოვიდა ტრაპიზონში იმ დავალებით, რომ შეჰკრას ზავი და საუკუნო მეგობრობას ჩაუყაროს საფუძველი. ამასთან ოფიციალურ რწმუნების ქაღალდში, რომელიც ოტომანის დელეგაციის თავმჯდომარემ წარმოგვიდგინა, ნათქვამი იყო, რომ რაუფ-ბეის ოტომანის საიმპერიო მთავრობისაგან დავალებული ქონდა დაეწყო მოლაპარაკება კავკასიის რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლებთან ტრაპიზონში და პირველ ოფიციალურ კრებაზედვე ოტომანის დელეგაციამ შეკითხვა წარმოუდგინა ამიერ-კავკასიის დელეგაციას, სადაც აღნიშნული იყო, რომ მათ გულწრფელათ სურდათ დაემყარებიათ კეთილმეზობლური განწყობილება (ზავზე არაფერი იყო ნათქვამი) იმ რესპუბლიკასთან, რომელიც ეხლა ვითარდება კავკასიაში და სთხოვა „დაწვრილებითი დეკლარაცია გაეკეთებია ამ რესპუბლიკის ფორმის და პოლიტიკურ ადმინისტრატიულ ორგანიზაციის შესახებ“.

საპასუხო დეკლარაციაში, რომელიც წაკითხულ იქნა მეორე კრებაზე, ამიერ-კავკასიის დელეგაციამ აღნიშნა, რომ ბოლშევიკების მიერ რუსეთში მომხდარ სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ ამიერ-კავკასიაში აღმოცენდა ახალი დამოუკიდებელი მთავრობა, რომელიც ეხლა პასუხისმგებელია სეიმის წინაშე და რომ ამიერ-კავკასია ფაქტიურათ წარმოადგენს სახელმწიფოს, რომელიც შევიდა საერთაშორისო ურთიერთობის სფეროში და პროტესტი განაცხადა ბრესტის ხელშეკრულობის გამო, რომელიც მის დაუკითხავათ მოხდა. თუმცა მას ჯერ დეკლარაცია არ გამოუცია და სახელმწიფ. რატიფიკაცია არ გაუკეთებია თავის დამოუკიდებლობის შესახებ. ამით არ დაკმაყოფილდა ოტომანის დელეგაცია და მესამე კრებაზე წარმოადგინა ახალი დეკლარაცია, სადაც არ უარყოფდა, რომ ორ სახელმწიფოთა შორის დადებული ხელშეკრულობა მესამე სახელმწიფოს არ უნდა ეხებოდეს, ხაზს უსვამდა, რომ უკეთუ ამიერ-კავკასიას უნდა ამ საერთაშორისო უფლებით ესარგებლა უნდა ცდილიყო სხვა სახელმწიფოებს ეცნო მისი დამოუკიდებლობა. და რადგან ამიერ კავკასიამ თავის წარმომადგენელი არ გაგზავნა ბრესტის კონფერენციაზე, ამით დაამტკიცა, რომ ის რუსეთის ფედერატიულ რესპუბლიკის წევრია. „გაიგო თუ არა ოტომანის მთავრობამ რუსეთთან ომის დროს, რომ ამიერ-კავკასიაში შესდგა სახელმწიფო და მას განზრახვა აქვს ჩამოშორდეს რუსეთს, სურვილი განაცხადა მასთან კავშირის და მეზობლურ განწყობილების ჩამოგდების, მაგრამ დღემდე კავკასიის ფრონტზე განსაკუთრებით რუსეთის ჯარი იდგა“.

(დასასრული იქნება).

## თავდასხმა გარეშე მტრისაგან

ქუთაისის გუბერიაში.

ოსმალეთის მიერ ომის გამოცხადების გამო მთელი ქუთაისის გუბერნია ფეხზე დადგა. ვერ ნახავ ისეთ სოფელს, საიდანაც დელეგატები არ მოდიოდენ გუბერნიის კომისართან და დახმარებას არ პირდებოდენ. განსაკუთრებით საყურადღებოა ამ მხრივ ყოფილ ჯარისკაცთა მოქმედება, რომლებიც მიუხედავათ იმისა, რომ 4 წელს ბრძოლაში იყვენ, კიდევ ვალდებულათ ხდიან თავს ბრძოლაში წავიდენ და სამშობლო დაიცვან. ისინი ამბობდენ: ისევ ჩვენ ბრძოლის ცეცხლში გამოწრთობილთ შეგვიძლია დავიცვათ ქვეყანაო.

რაჭა-ლეჩხუმიდან ამ დღეებში ჩამოვა რაზმი, რომელიც შესდგება განსაკუთრებით ყოფილ ჯარისკაცებისაგან და გაემგზავრება საზღვრისაკენ.

ლანჩხუთში დახვრიტეს შ. გოგიჩაიშვილი, რომელსაც მოუპარავს რამოდენიმე ვინტოვკა და მიუყიდია ქობულეთენ მაჰმადიანისთვის.

სად. რიონზე გუშინ იარაღი აყარეს ფრონტიდან გამოქცეულ ჯარის-კაცებს, რომლებმაც იარაღის აყრაზე უარი განაცხადეს და სროლაც ასტეხეს, აღნიშნულ ჯარისკაცებს აღმოაჩნდა მრავალი ნაცარცვი საქონელი ბათუმიდან წამოღებული. 5 კაცი მეთაური დააპატიმრეს და ქუთაისის ციხეში მოათავსეს. დანარჩენი 48 კაცი უიარაღოთ გაანთავისუფლეს, აღნიშნულ ჯარის-კაცებს აღმოაჩნდათ, სხვათა შორის, საკერავი მაშინა, რომელიც ქუთ. სადგურის რკინის გზის კომიტეტში გადასცეს და თუ ვინმემ დაკარგა და ნომერი იცის შეუძლია მოიკითხოს.

ქუთაისის სახალხო მასწავლებელთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარეს ლადო ნაცვლიშვილს (ბზვანელს) ქუთაისის გუბერნიის კომისარმა ნება დართო შეადგინოს თანახმათ 28 მარტს მასწავლებელთა საზ. კრების დადგენილებისა რაზმები იმ მასწავლებელთაგან, რომელთაც მობილიზაცია არ ეხებათ, როგორც მოხალისეთ მომქმედ ჯარში გასამგზავრებლათ, აგრეთვე სანიტარული და ადგილობრივ ქალაქის დაცვისათვის.

## ჯავშნიანი მატარებელი № 1.

(თფილისიდან ნახიჩევანამდე).

17 მარტს მთავრობის განკარგულებით თფილისიდან გავიდა ჯავშნიანი მატარებელი № 5, რომელსაც გავყევით ბაქოს რკინის, ჯულფა-ბაქოს და თავრიზის რკინის გზის წარმომადგენლები და გლეხთა ცენტრის წარმომადგენელი. ამასთანავე მოდიოდენ ამიერ-კავკასიის რკინის გზის მინისტრის მიერ დანიშნული დელეგატები ხუთი კაცი მუსულმანები, რომლის თავმჯდომარეთ ითვლებოდა ახალგაზდა სტუდენტი სადრედინბეგ ვეზიროვი.

18 მარტს დილით მივედით სად. სადახლოში, სადაც იდგა ჯავშნიანი მატარებელი, № 1. ვინახულეთ ამ მატარებლის მმართველი ევტიხი ხვინგია და კომისარი გ. ნადირაძე, რომლებსაც გავაცანით მთავრობის მოწერილობა და ჩვენი დანიშნულება. ხსენებულმა პირებმა გააცნენ ჯავშნიან მატარებლის „კამანდას“ განკარგულება, რომლებიც, სიამოვნებით უნდა აღინიშნოს, წარბშეუხვრელათ დაეთანხმენ მთავრობის განკარგულებას, მიუხედავათ იმისა, რომ თან არც საცვლები ჰქონდათ წამოღებული და არც სამყოფი სურსათი და სხ.

18 მარტს საღამოს 7 საათზე მივედით ალექსანდროპოლში და მივმართეთ სხვადასხვა დაწესებულებებს, რომლებმაც შეძლების დაგვარათ დახმარება გაგვიწიეს, სურსათი მივიღეთ და 19 მარტს ნაშუადღევის ოთხ საათზე გაუდექით გზას ჯულფისკენ. ჯავშნიან მატარებელს და დელეგატებს დავალებული ქონდათ რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნებოდა თოფის გაუსროლელათ და სისხლის დაუღვრელათ გამოეყვანა ის მუშები და მოსამსახურეები, რომლებიც დარჩენილი იყვენ ბაქოს, ჯულფა-ბაქოს, თავრიზის და ამიერ-კავკასიის რკინის გზის სხვა სადგურებზე. რამდენჯერმე იქნა ზომები მიღებული რკ. გზის ცენტრალური კომიტეტის და თვით მთავრობის მიერ, რათა აღედგინათ გზის მოძრაობა ჯულფამდე, მაგრამ უნაყოფოდ ჩაიარა ყოველთვის. დელეგატების ენერგიულმა მოქმედებამ და ჯავშნიანი მატარებელის რაზმის აუჩქარებელმა, გონივრულმა ნაბიჯებმა სასურველი ნაყოფი გამოიღო და თუ სავსებით არა, ოთხმოცი პროცენტით, მაინც შეასრულა დაკისრებული მოვალეობა, რასაც დაგვიმტკიცებს ქვემოთ მოყვანილი საბუთები. 20 მარტს დილით მივედით ქ. ერევანში. აქ მივმართეთ ყველა რევოლიუციონურ და ნაციონალურ ორგანიზაციებს დახმარებისათვის. პირველათ მივედით ეროვნებათა შორისო ბიუროში, მაგრამ ვერავინ ვერ ვნახეთ. შემდეგ მივმართეთ მუსულმანების ნაციონალურ ორგანიზაციას, რომელმაც თუთხმეტი წუთის განმავლობაში შეკრიბა ნაციონალურ კომიტეტის წევრები, რომელსაც ჩვენის მხრით დაესწრო ამხ. ხუნგია, ვეზიროვი და მე. გავაცანით ჩვენი მიზანი და ვსთხოვეთ თავიანთი მხრითაც მოეცათ დელეგატები, რომლებიც ხელს შეგვიწყობდენ ჩვენი მოვალეობის ასრულებაში. თავმჯდომარე სახე-გაბრწყინებული, აღფრთოვანებული სიტყვებით მოგვესალმა და აღგვითქვა ყოველ მხრივი დახმარება დელეგატებიც აირჩიეს.

ამის შემდეგ შევეკითხეთ: იცით თუ არა ახალი კანონები მიწის შესახებ და თუ იცით, მიიღეთ თუ არა რაიმე ზომები მისი ცხოვრებაში გასატარებლად? შეკითხვაზე შემდეგი პასუხი მივიღეთ: მიწის შესახებ ახალი კანონი ვიცით, მაგრამ სამწუხაროთ, გულის ტკივილით უნდა აღვნიშნოთ, რომ მისი ცხოვრებაში გატარებაზე არც გვიზრუნია და ვერც ვიზრუნებთ, რადგანაც სომეხ-თათართა შორის გაჩაღებულმა სისხლის ღვრამ ჩანთქა ჩვენში ყოველივე შემოქმედებითი მუშაობაო და აღნიშნა, რომ ერევნის გუბერნიაში თითქმის მთელი ამ გუბერნის ცენტრალური მმართველობა სომხების ხელშია და ხალხის საკეთილდღეოთ მოქმედება კი ნაკლებიო. ჩვენ ყველგან და ყოველთვის გვამტყუნებენ იმაში, რომ ჩვენ ვიყოთ ვითომც მიზეზი მუსულმანების გამოსვლებს, მაგრამ თუ ღრმათ ჩავუკვირდებით საქმეს, აქ გასაკვირველი არაფერია, რადგანაც პირველად ეშელონებზე თავდასხმა და იარაღის ართმევა სომხებმა დაიწყეს აქით და ხალხმა იფიქრა: თუ ერთისთვის შეიძლება იარაღის შეძენა, მეორესთვისაც შესაძლებელი ყოფილაო და ასე, ერთი მეორის მიხედვით დაიწყო ეშელონებზე თავდასხმა. რამაც შემდეგ ეპიდემიური ხასიათი მიიღო. რაც შეეხება აქეთ გზების აყრას, [illegible] დაწვას და სხვა უნდა სიმართლე მოგახსენოთ, რომ ამიერ-კავკასიის მცხოვრები მუსულმანები სწორეთ ორ ცეცხლ შუაა მომწყვდეული. უცილობელი ჭეშმარიტებაა, და ყველამ იცის თითქმის, რომ არარატის ახლო-მახლო მცხოვრები ქურთები მარტო მეჯოგეობით ირჩენენ თავს. ყიდიან ცხვარს და ყიდულობენ პურს, მაგრამ დღეს, როდესაც ჩვენთვის არა გვაქვს სხვას რას მივცემდით და შიმშილ-სიშიშვლით გამწარებულმა ქურთებმა, როდესაც თხოვნით ვერაფერი იშოვნეს ჩვენგან, შემდეგ შეუდგენ ახლო-მახლო მდებარე მცხოვრებლების ძარცვა-გლეჯას. რამდენი გინდათ მოგიყვანოთ მაგალითები, რომ თვით ამიერ-კავკასიაში მცხოვრებ მუსულმანებს ხშირად ქონიათ შეტაკება ქურდებთან, მაგრამ ჩვენი მხრის მუსულმანები ვერ არიან ისე შეიარაღებულნი, როგორც ქურთები და ამიტომ ყოველთვის გამარჯვებული გამოდიან და ნადავლით მიემართებიან სპარსეთისკენ. ჩვენ არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ შიგნითაც არ იყოს ცოდვილი პირები, მაგრამ ღრმათ მრწამს, რომ რკინის გზის ახლო მახლო მცხოვრებთათვის ისე საჭიროა რკინის გზა, როგორც ჰაერი ადამიანისათვის. ამას გრძნობს და იცის ხალხმაც, მაგრამ როდესაც ამ გზით წავიდა სომხების ეშელონები და ააოხრა ახლო-მახლო მდებარე სოფლები, რაღა საკვირველია თუ მაშინ, მათი შეხედულობით, უბედურების მომტანი გზა გააოხრა, მაგრამ ჩვენი ღრმა რწმენით, ეს დროებითია და იგივე ხალხი სიხარულით მხარს დაუჭერს მთავრობას, თავის ნეიტრალურ ჯარს გამოგზავნის რუს-ქართ. ან ინტერნაციონალურს და დაიცავს საზღვრებს და ხალხს ყაჩაღების თავდასხმისაგან.

ჩვენ კი ჩვენის მხრით მზათა ვართ ხელი შევუწყოთ მთავრობას ყოველივე კეთილ საქმეში.

ამის შემდეგ მივმართეთ სომხების ნაციონალურ საბჭოს. აქ დიდძალ ხალხს მოეყარა თავი. ვინახულეთ ნაციონალურ კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგი, გავაცანით ჩვენი მიზანი და ვთხოვეთ დელეგატი, მაგრამ დელეგატის გატანებაზე გვითხრეს: „ჩვენი დელეგატი არ არის საჭირო, რადგან სომხები თვითონ ცდილობენ გზის გაყვანას და მის დაცვასო“, მაგრამ ჩვენ ექიმი მაინც არ გვყავდა და ვთხოვეთ: „მოგვეცით ისეთი კაცი, რომელიც ექიმიც იყოს და დელეგატობაც გასწიოსო“. ამ წინადადებაზე დაგვეთანხმენ და გამოგვიგზავნეს აბრამ სიმონის ძე იუზბაშიანი და ერთი ფერშალი, რომლებმაც კეთილსინიდისიერათ შეასრულეს ნაკისრი მოვალეობა.

როდესაც ჯავშნიან მატარებელში დავბრუნდით—„კამანდას“ მღელვარება ეტყობოდა, ყველა მიიჩქაროდა ნაკისრი მოვალეობის ასასრულებლათ, ამის გამო ამხ. ხუნგიამ გამართა „კამანდის“ კრება. გავაცანით რა მდგომარეობა, კრებამ ერთხმად მოიწონა ამხანაგების მიერ მიღებული ზომები, მაგრამ მიუხედავათ ენერგიულ ზომების მიღებისა სამი დღე ერევანში დავრჩით, რადგანაც ძნელი შეიქნა მუშების შოვნა, რომლებსაც უნდა ემუშავა გზის და ხიდების გასაკეთებლათ. საღამოს, რომ შეგვპირდა მუშები დილას მოვალო, მეორე დღესაც ველარ ვნახეთ. ამან ზოგიერთებს ეჭვი დაუბადა 17 ნაწილის მმართველზე, მუსულმან ინჟინერ ვექილოვზე, „მაგას არ უნდა მუშების წაყვანა“-ო, გაიძახოდა თითქმის ყველა, მაგრამ, როდესაც თვით ჩვენ მივედით და ვთხოვეთ მუშებს, მაშინ დავრწმუნდით, რომ ვექილოვი დამნაშავე არ იყო. მუშები უარს ამბობდენ ჯულფისკენ სამუშაოთ წასვლაზე, რადგანაც სად. ნარაშენში თვით მუსულმანების მუსულმანებისავე მიერ გაძარცვა ყველას აფრთხობდა. ამავე დროს არც ფული ქონდათ, რომ მუშებისათვის მიეცათ წინდაწინ. ამიტომ ბაქოს სამხედრო რკინის გზის წარმომადგენელმა მ. ა. ბარკალაიამ ინჟინერ ზამარაევმა მისცა მუშებს წინ და წინ ათასი მანეთი და თითეულ მათგანს შეპირდა გადიდებულ ჯამაგირს. ჩვენი მხრითაც აღვუთქვით, რომ ყოველივე ზომებს მივიღებთ, რათა დაჯილდოვებული იქნას ყველა მუშებიო და ამ გზით, როგორც იქნა, გამოვედით ერევანიდან 23 მარტს. ამავე დღეს გვქონდა ყველა დელეგატების ადგილობრივ რევოლიუციონურ და ნაციონალურ ორგანიზაციების წარმომადგენელებთან შეერთებული კრება, სადაც მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: „რომ აღდგენილი გზა და ხიდები ისევ არ იქნას აყრილი და გადამწვარი, ამისათვის აუცილებელი საჭიროა დაქირავებული მცველები, ამისათვის დაევალოს ეროვნებათა შორისო კომიტეტის თავჯდომარეს, რომ გამოილონ ხუთ-ხუთი ათასი მანეთი, როგორც სომხების, ისე მუსულმანების ნაციონალურმა ორგანიზაციებმა, სანამ ამას მთავრობა ან რკინის გზის მმართველობა იკისრებსო“. მაგრამ ეს დადგენილება არ იქნა სისრულეში მოყვანილი.

ი. ყაჭიეშვილი.

(შემდეგი იქნება).

# მუშათა წერილები

## ვინ თიშავს მუშებს?

კრიტიკა და კრიტიკა—აი ბალშევიკებ-ს მოღვაწეობა სალიტერატურო ასპარეზზე; აურზაური, ყვირილი, ობსტრუქცია და კრებების მიტოვება—აი მათი მოქმედება კრებებზე; სხვის მოქმედების დაწუნება, ხოლო თვით არაფრის გაკეთება—აი რაგვარი მოღვაწეობა ახასიათებს ბალშევიკებს.

ბალშევიკების გამთიშავი პოლიტიკა პროფესიონალურ კავშირებშიაც შეიჭრა. მაგალითისთვის ავიღოთ თფილისის ბეჭდვითი საქმის მუშათა პროფესიონალური კავშირი.

მაშინ, როდესაც ამ ერთი წლის წინეთ ბეჭდვითი საქმის მუშათა კავშირი დავაარსეთ—ჩვენ ვიცოდით რა პროფესიონალურ კავშირის პირდაპირი დანიშნულება—გამგეობის წევრთა შემადგენლობას ჩვენ არავითარი ყურადღება არ მივაქციეთ და, მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენ კარგათ ვიცოდით წამოყენებულ კანდიდატების მიმართულება, ჩვენ—მენშევიკი მუშები ვაძლევდით ხმას ბალშევიკ კანდიდატებს. მეტიც შემიძლიან ვსთქვა: ბალშევიკები ჩვენის დახმარებით გაგვყავდა გამგეობაში.

სამწუხაროთ, მათ იმედი გაგვიცრუეს და პროფესიონალური კავშირი წმინდა პოლიტიკურ ორგანიზაციათ გადააქციეს. სარგებლობდენ რა გამგეობაში უმრავლესობით—წმინდა ფრაქციონურ საქმის ჩარხვას შეუდგენ.

ამიტომაც იყო, რომ აღფრთოვანებით დაწყებულ საქმეში ჩვენ ჩქარა დავრწმუნდით, რომ წარმომადგენლები გამგეობაში ამრჩევლების ნება-სურვილს ვერ გამოხატავდენ. ეს ბეჭდვითი საქმის მუშათა წარსული თვის საზოგადო კრებამაც დაამტკიცა.

ერთი თვის წინეთ მოწვეულ იქნა ამ კავშირის წევრთა საზოგადო კრება. სხვა კითხვებს შორის, გამგეობის წევრთა ხელ-ახალი არჩევნებიც უნდა მომხდარიყო. არჩევნები მოხდა. ასარჩევი იყო გამგეობის 15 წევრი და 5 კანდიდატი. ბალშევიკებმა გამგეობაში გაიყვანეს 2 კაცი, ხოლო კანდიდატებათ 3. ბალშევიკები დამარცხდენ. განახლებული გამგეობა მაშინვე შეუდგა თავის საქმეს. გამგეობის პირველსავე სხდომაზე გამგეობის ყველა წევრმა ის აღნიშნა, რომ პროფესიონალურ კავშირში, სადაც თავს იყრის და ირაზმება ყველა მიმართულების მუშა, ფრაქციონურ მოქმედებას ადგილი არ უნდა ჰქონდესო, არამედ ჩვენ უნდა ვაწარმოვოთ კლასიური ბრძოლა და ვეცადოთ მუშათა ეკონომიურ პირობების გაუმჯობესებასო,—აი რა დაუდო საფუძვლათ განახლებულმა გამგეობამ თავის მუშაობას. გამგეობის ბალშევიკმა წევრებმა პირველი სხდომავე დატოვეს. მათი ადგილი კანდიდატებს უნდა დაეკავათ, მაგრამ მათაც უარი განაცხადეს. და განა შეუძლიანთ მათ ამის შემდეგ განაცხადონ: ჩვენ ფრაქციონურ თვალსაზრისით არ ვმოქმედებდით პროფესიონალურ კავშირშიო?

განახლებული გამგეობა პირველ ყოვლისა გაფიცვის ლიკვიდაციის საქმეს შეუდგა. მარტიროსიანცის, მესხიევის და ამხ. „პერეპლიოტის“ ქარხნების რეკვიზიცია მოახდინეს. დღეს-ხვალ გაფიცულ მუშების დიდი უმრავლესობა მუშაობას დაიწყებს ამ ქარხნებში.

როგორც უკვე გაზეთშიც იყო, 8 აპრილს გამგეობამ ამ გაფიცვის ლიკვიდაციის და ტარიფის გამო საზოგადო კრება მოიწვია. მან გააცნო საზოგადო კრებას საქმის ვითარება. კრებამ გამგეობის მოქმედება დაადასტურა.

აქ არ შემიძლია არ აღვნიშნო ის საქციელი, რომელიც ბალშევიკებმა მოიმოქმედეს. ერთმა იმათგანმა აყარებელი გესლი და შხამი გადმოანთხია: რატომ სუყველა ქარხნების რეკვიზიცია არ მოახდინეთო.

მაგრამ მე ვეკითხები: როცა ისინი გამგეობაში მეფობდენ, რამდენ ქარხანას უყვეს რეკვიზიცია? ან თუ მათ მართლა საქმე აინტერესებთ—გამგეობიდან რათ გაბრძანდენ? რათ არ მუშაობენ? პასუხი ცხადია: ისინი გამგეობაში სულ უმცირესობას შეადგენენ და ეს კი მათ ვერ მოუნელებიათ.

ამიტომაც იყო, რომ მაშინ, როდესაც გამგეობამ საზოგადო კრებას აცნობა ბალშევიკების გასვლა გამგეობიდან—ისინი ჩვეულებრივ შეუდგენ აურ ზაურს და თავი რომ ვერაფრით იმართლეს,—გამგეობის ხელ ახალი არჩევნები მოითხოვეს.

რათ მოითხოვეს მათ ხელ-ახალი არჩევნებ?—იმიტომ, რომ ისინი გამგეობაში უმცირესობას შემდგენდენ.

ჩვენ თანახმანი ვართ ხელ ახალი არჩევნების, მაგრამ მუშებმა უნდა კარგათ გაიგონ, თუ რატომ ითხოვენ ბალშევიკები ხელ-ახალ არჩევნებს. ჩვენ თავიდანვე შეგვიძლია ვსთქვათ: თუ ისინი კიდევ უმცირესობაში დარჩებიან—კიდევ მოითხოვენ არჩევნებს.

გამგეობაში უმრავლესობის გაყვანა—აი რა ამოქმედებთ მათ, და არა საქმე!

**მიხ. თამაზაშვილი.**

# საად.-მამულო რეფორმა

## გორის მაზრის გლეხებს!

ამხანაგებო! ასრულდა ამიერ-კავკასიის მშრომელი გლეხობის დიდი ხნის სურვილი—„მიწა მიწის მუშას“. იმ დეპუტატებმა, რომლებიც თქვენ მიერ არიან არჩეულნი ამიერ-კავკასიის სეიმში და რომლებსაც თქვენ მიანდევით თქვენი ინტერესების დაცვა, იმ თქვენი დეპუტატების წინადადებით და ხელმძღვანელობით, ამიერ-კავკასიის სეიმმა 1918 წ. 7 მარტის სხდომაზე ერთხმათ დაამტკიცა მიწის ახალი კანონ პროექტი, რომლის ძალით: „იმ მემამულეებს, რომლებიც დღემდე ფლობდენ ათი ათასობით დესიატინა მიწებზე, დაეტოვებათ იმდენი, რამდენიც კანონშია აღნიშნული და დანარჩენი მიწები უსასყიდლოთ უნდა გადაეცეს მშრომელ გლეხობას“. ამ კანონების ცხოვრებაში გატარება მიენდო ამიერ-კავკასიის სეიმის არჩეულ მთავრობას.

ამ დღეებში ამიერ-კავკასიის მიწათმოქმედების სამინისტროსაგან, ამიერ-კავკასიის სეიმისაგან და გლეხთა ცენტრისაგან ჩამოვიდნენ რწმუნებულები და ინსტრუქტორები გორის მაზრაში მემამულეებისაგან მიწების ჩამოსართმევათ და გადასაცემათ გლეხთა კომიტეტებზე.

ამხანაგებო! არავითარ კანონს რაგინდ კარგი შემუშავებული იყოს ის არ შეიძლება ნაყოფი გამოიღოს იგი, თუ მის ცხოვრებაში გასატარებლათ მთავრობას მხარი არ დაუჭირა მშრომელმა ხალხმა, და მშრომელ ხალხს წარმოადგენს გლეხობა, და სწორეთ გლეხობის სასარგებლოთ არის ეს ახალი მიწის კანონი გამოცემული და მაშასადამე თქვენ გლეხობა უნდა იყოთ დაინტერესებული მისი ჩქარა ცხოვრებაში გასატარებლათ.

სამწუხაროთ უნდა აღვნიშნოთ, ამხანაგებო, რომ ამ კანონების ცხოვრებაში გატარებას ხელს უშლიან ის პროვოკატორები, ვისთვისაც მემამულეების ინტერესები უფრო მაღლა სდგას, ვიდრე მშრომელი გლეხობის და არავითარ საშვალებას არ ერიდებიან მოღალატეები, რომ დაბრკოლდეს მემამულეებისაგან მიწების ჩამორთმევა, და სწორეთ ამ გარემოებას უნდა მიეწეროს ის, რომ გორის მაზრის ნაწილი გახვეულია დღეს ცეცხლის ალში და გულ-უბრყვილი ხალხი დღეს ერთმანეთს დარევიან და ანადგურებენ ერთ მეორეს და ღვრიან ურთ ერთ შორის უმანკო სისხლს.

მოგიწოდებს ამხანაგებო თქვენ მიერ არჩეული ამხანაგები შესწყვიტოთ ძმათა შორის სისხლის ღვრა და დაიცვათ წესიერება: ნუ აჰყვებით პროვოკატორების მოწოდებებს, რომლებიც ცდილობენ რევოლუციის მონაპოვარის დაღუპვას. ყოველივე დახმარება გაუწიეთ მიწების ჩამომრთმევ კომისიებს და რწმუნებულებს, რაც თქვენგან საჭირო იქნება; მაშ, ფრთხილად, ამხანაგებო, თუ გინდათ, რომ შეინარჩუნოთ მიწა, თავისუფლება, წინააღმდეგ შემთხვევაში გაიხარებენ ჩვენი მტრები. ძირს პროვოკატორები! ძირს სამოქალაქო ომი! გაუმარჯოს ამიერ კავკასიის სეიმს! გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის მთავრობას!

**გორის მაზრის საადგილმამულო კომიტეტი.**

# ქართული უნივერსიტეტი.

ქართული უნივერსიტეტის გამგეობამ მიიღო ამ უნივერსიტეტ სასარგებლოდ: 1) ქუთაისის ქართველ ისრაელთა შორის შეგროვილი განსვ. კიტა აბაშიძის ხსოვნის აღსანიშნავად ორასი მან. (200 მ.) 2) მეჯვრისხევის მოსწავლე ნაყოფ მეხარებელ საზოგადოებისგან „წარმატება“ ას თხუთმეტი მან. (115 მან.), 3) ახალ-სენაკის საზოგადო საკრებულოს საზოგადო კრების მიერ გადადებული ათასი მან. (10 0 მ.), 4) სამტრედიის 4-კლასიან გიმნაზიის მოწაფეთა შორის შეგროვილი ასი მან. (100). 5) სამტრედიის უმაღლეს პირველ-დაწყებით სკოლაში მოწაფეთა შორის შეგროვილი სამას ოთხმოც-და-ორი მან. და 60 კაპ. (382 6 ), ამათშორის მეორე კლასის მოწაფემ ლეონტი ანჯაფარიძემ შემოსწირა ოცდა-ათი მან. (30 მ.), 6) ნადეჟდა გიორგის ასულმა თარხნიშვილმა შემოსწირა 6 დიდი წიგნი: ლათინურ ენაზე გალენის ხუთი წიგნი და ფრანგულ ენაზე: „წმიდათა ცხოვრება.“ 7) თ. ა. მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზიისგან შემოწირული 16 ცალი წიგნი საკუთარი გამოცემანი, ამავე ამხანაგობამ დაადგინა ყოველივე თავის გამოცემის თითო ცალი უთავაზოს უნივერსიტეტს. 8) ქ ნია ბარბარე ყიფიანმა შემოსწირა 25 ცალი სხვა და სხვა წიგნი და ჟურნალი ფრანგულ ენაზე.

# პროვინცია

**ბელი კლიუჩის რაიონი** (თფ. მაზრა). 3 აპრილს თფილისის გუბერნიის კომისართან მოვიდა „ლენინი“ ხატის-თელეთის საზღვრებში მდებარე ტყისა და განაცხადა, რომ გლეხები სისტემატიურად ანადგურებენ ტყეს, რისთვისაც საჭირო რწმუნებულთა გაგზავნა, რომ ერთხელ და სამუდამოთ გაანებონ თავი გლეხებმა ამ მათთვისვე საზიანო საქმესო. მეორე დღესვე წავედი საქმის გამოსაძიებლად, მაგრამ რადგან საჭირო იყო ერთ-ერთი სამიწათმოქმედო კომიტეტის წევრის დასწრება, წავედით ს. ვაშლოვანში, რომ იქიდგან წამომეყვანა სამაზრო სამიწათმოქმედო კომიტეტის წევრი ტრიფონ სალარაძე. ტაბახმელის და ვაშლოვანის შუა გზაზე არის დიდი ხევი, რომელ ხევშიაც არა ერთი და ორი უდანაშაულო მგზავრი გამოუსალმებიათ წუთისოფლისთვის. როდესაც მიუახლოვდი ხევს გამახსენდა სოფლელების ნაამბობი, რომ იქ ბუდეა ავაზაკებისა; მაგრამ ჩემ გულს სრულებით შიში არ უგრძვნია. რამდენი უფრო და უფრო უახლოვდებოდი ხევს იმდენი უწესრიგო ხმა მესმოდა. მე ვიფიქრე ალბად მგზავრებია და ჩვეულებრივად ისვენებენ თქო. როდესაც დავეშვი დაღმართში დავინახე ოთხი სალდათი შინელებში ჩაცმულნი, რომლებიც ერთმანეთს დარიგების ნიშნათ ჩასჩურჩულებდენ. ეტყობოდა ჩემმა დანახვამ ავაზაკებს დაუბადა ბოროტი განზრახვა. ამ სურათმა ცოტა არ იყოს ეჭვი დამიბადა, მაგრამ სულით მაინც არ დავეცი და თამამად მიახლოვებისთანავე სალამი მივეცი. პასუხ-ს მაგივრად ერთი მათგანი წამოიწია წინ და ურცხვად მითხრა: სანამ შენს ვინაობას არ გავიგებთ, არ გაგიშვებთო. მეორემ მითხრა შენ პალტოზე გეტყობა ბურჟუა წარმომადგენელიო, მესამემ მოწმობა მომთხოვა და მეოთხე კი მომარჯვებული ვინტოვკით იდგა. ბილეთის მაგივრათ ამოვიღე „ბრაუნინგი“ და დაუმიზნე. ამ დროს მოულოდნელათ თავზე წამოგვადგენ თფილისში მიმავალი გლეხები. პირველად შეჩერდნენ, მაგრამ, როდესაც მიცვნეს ყვირილით—„არ ისროლოთო“ გამოეშურენ ჩვენსკენ, ორი გლეხი შეიარაღებული იყო. როდესაც ავაზაკებმა ვერ შეასრულეს განზრახვა, პროპაგანდა გასწიეს გლეხებში ჩემს წინააღმდეგ. ავაზაკები ეუბნებოდნენ გლეხებს: ესენი ბურჟუების ინტერესს იცავენო და თქვენ მონურათ ემორჩილებით მათ სიტყვებსო. ერთმა გლეხმა შემამჩნია, რომ კალოში გახეული მქონდა, მიუთითა ამაზე ყაჩაღებს: ეგ რომ ბურჟუა იყოს, გახეული კალოში არ ექნებაო, მაგრამ მათ უპასუხეს, რომ ესენი განგებ დადიან დახეული ტანისამოსით, რომ ამით გლეხები მოატყუონო. როგორც იქნა დავსძლიეთ ჩვენ და გავუდექით გზას. ამისთანა მაგალითები ამ ბოლო დროს ხშირია და უფრო გახშირდება, თუ მკაცრი ზომები არ იქნა მიღებული მათ წინააღმდეგ. ხატის-თელეთში მეორე დღეს მოვიწვიეთ მიტინგი. დღის წესრიგში იყო შემდეგი კითხვები: მოხსენება მიმდინარე მომენტზე, მიწის რეფორმის შესახებ და ლენინის განცხადების განხილვა. მეტად საყურადღებო მოხსენება გააკეთა მიწის რეფორმის შესახებ სამაზრო სამიწათმოქმედო კომიტეტის წევრმა ტრიფონ სალარაძე. ხალხი დიდის აღტაცებით შეეგება და განაცხადეს, რომ თუ კი ამისთანა დიდებული ნაბიჯი გადადგა დემოკრატიის წარმომადგენლებმა, რატომ ამდენ ხანს არ შეგვატყობინეთო. ამის შემდეგ ამოვირჩიეთ თანახმათ ინსტრუქციისა, სამი წევრი სამიწათმოქმედო კომიტეტისთვის. უნდა აღვნიშნო, რომ აქ ცხოვრობენ სომხები და ქართველები და ამ ბოლო დროს პროვოკატორების წყალობით ერთმანეთისადმი უკმაყოფილება ეტყობათ. რის გამოც ასეთ შემთხვევას ქონია ადგილი: ხატის თელეთის საზოგადოების კომისრად იყო არჩეული ქართველი, რომელსაც ხშირად უხდებოდა სომხების სამხედრო შტაბში მისვლა, რადგან უმეტესობა მცხოვრებლებისა სომხებია, როდესაც შტაბის მოსამსახურეებს, გაუგიათ, რომ ხატის-თელეთის კომისარი ქართველია, გაუწევიათ პროპაგანდა გლეხებში, რათა მათ გადაეყენებიათ ის, როგორც ქართველი. პროვოკაციას ეწევა აგრეთვე თურმე ერთი ადგილობრივი ტერტერაც. არჩევნებამდი ამ პროვოკაციას სრულებით ადგილი არ ქონდა, მაგრამ მაშინ ნაციონალისტებმა ორივე ეროვნებისა მოწამლეს ფაქიზი გრძნობები გლეხებისა და თუ ჩვენ, ს.-დემოკრატები არა, მართლაც არა სასურველ მოვლენას ექნებოდა ადგილი. ბალშევიზმს აქ ფესვები არა აქვს გადგმული. თუ არ მივიღებთ მხედველობაში აქა-იქ დაუფიქრებლად წამოსროლილ სიტყვებს. ყველაზე უფრო უკმაყოფილებას იწვევს გლეხებში ადგილობრივ მცხოვრებლების თათრ. თარეში და ამიტომ ისინი გვთხოვენ იარაღს, როგორც თათრების მოსაზღვრე მცხოვრებნი. საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ ჩვენმა მისვლამ და საჭირობოროტო საკითხების გარკვევამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა გლეხებზე. მოხსენებების შემდეგ გამოვიტანეთ შემდეგი რეზოლიუცია: 1) ხატის თელეთის მცხოვრებნი დიდ აღფრთოვანებას გამოსთქვამენ მიწის რეფორმის გამო, რომელსაც დიდი ხანია ელოდა განაწამები გლეხობა, 2) ჩვენ, განურჩევლად ეროვნებისა უკანასკნელ ამოსუნთქვამდე დავიცავთ თავისუფალ ამიერ-კავკასიის საზღვრებს, როგორც შემოსეულ მტრისაგან, ისე შინაურ ანარქიისაგან, 3) დაევალოს თვითეულ გლეხს თვალ-ყური ადევნონ პროვოკატორულ გამოსვლებს, რაც აძლიერებს ეროვნულ შუღლს და შესაფერი მეჯავრი დასდოს როგორც რევოლიუციის დამსამარებლებს.

**ვლ. კაკაბაძე.**

---

**ახალ სოფელი** (გარე კახეთი. თფილისის მაზრა). 2 აპრილს აქ მოხდა სოფლის ყრილობა. აქ ცხოვრობენ: ქართველები, სომხები და რუსები. ეს უკანასკნელი ერთი ვერსითაა მოშორებული (ნოვო ალექსეევკა) ამ საზოგადოებაზე, მაგრამ სამმართველო ერთი აქვთ და ძლიერ კარგი მეზობლობაც აქვთ. რუსები ქართულად კარგათ ლაპარაკობენ. კრების მიზანი იყო ახალი მიწის „კანონის“ ახსნა-განმარტება და საზოგადო მდგომარეობა. მოხსენება გააკეთა ამხ. დ. ი. ლორთქიფანიძემ ცენტრისა და ახალი მთავრობის სახელით. მოხსენების წინ კრებამ პატივი სცა ხალხის გმირებს თავისუფლებისათვის დახოცილთა ხსოვნას ფეხზე ადგომით. მომხსენებელმა გააცნო რა მიწის კანონი მცხოვრებთ, შეეხო შინაურსა და გარეშე საფრთხეს. კრებამ მიიღო შემდეგი დადგენილება: 1) სალამი სეიმსა და მისგან არჩეულს მთავრობას, რომელსაც უცხადებს კრება სრულ ნდობას; 2) სალამი ამიერ-კავკასიის საბჭოთა ცენტრს, რომელიც აერთებს ყველა ერებს და მით ქმნის ერთ ფრონტს; 3) ზიზღი რევოლიუციის მტრებს, რომლებმაც დაარღვია რუსეთის რევოლიუციის მთლიანობა, გარეკეს დამფუძნებელი კრება და მით საფრთხეში ჩააგდეს თავისუფლება. განსაკუთრებით აღშფოთებულნი არიან: ყარს-არტაანბათუმის გაცემისთვის; 4) მოვუწოდებთ ყველა ერებს, რომელთაც არ უნდათ გახდენ საძაგელი რეაქციის მსხვერპლათ და ოსმალთა ფაშების საძიძგნათ, შეერთდენ ამ ფრიად გაჭირვების დროს, რომ მით იხსნან სამშობლო და თავისუფლება განსაცდელისაგან; 5) არ დადგეს უკან არც ერთი კაცი, როგორც ჯარში გასაწვევი, ისე მეტი წლოვანებისა, რომ მით შევძლოთ მტარვალთა შეჩერება.

დასასრულ სალამი უძღვნეს გურულებს როგორც მოწინავე რაზმს რევოლიუციისას, ზიზღი და შეჩვენება აჭარლებს, რომლებმაც ვერ დააფასეს ჩვენგან გაწვდილი ძმური ხელი და კაენისებურათ ჩაიდინეს ღალატი და საკუთარ ძმის მკვლელობა. ბოლოს შემოვიდა თვალცრემლიანი დედა: ნიკოლა გიგოლას ძე მეკალუაშვილისა და ითხოვა ეგებ იცოდეს ვინმემ ეს მისი შვილი, რომელიც 1916 წელს მკათათვეში წასულა ოსმალთა ფრონტზე ტვირთის მზიდველათ და დღესაც არ იცის სად იმყოფება. თუ ვინმემ რამე იცით იმედია აცნობებთ ამავ სოფელში.

მოსავალს აქ კარგი პირი უჩანს. სოფელი კულტურულათ ჩამორჩენილია. დიდი იმედი აქვთ ერობის. სოფლათ წესრიგი არ ირღვევა. ამ დღეებში აქ განქორწინებაც მოხდა მშვიდობიანის გზით: ყოფილმა ქმარმა 100 თუმანი მზითვათ გაატანა ყოფილ ცოლს. აქეთ დიდი წვიმებია, რაც ყანებს ახარებს.

**მუშა შოველი.**

---

**სოფ. წალვერში** 5 აპრილს მოხდა ყრილობა, რომელსაც დაესწრო სხვადასხვა სოფლების ხალხი, მრავალრიცხოვანმა კრებამ ერთხმათ ამოირჩიეს თავმჯდომარეთ ამხანაგი გიორგი გვარამაძე, მდივნათ ლადო ნოზაძე. ყრილობაზე ილაპარაკა და გააცნო დღევანდელი მომენტი და მდგომარეობა ბორჯომის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგმა კ. შახნაზაროვმა და ბოლოს ერთხმათ იქნა გამოტანილი შემდეგი რეზოლიუცია: 1) ჩვენ წალვერის რაიონის მცხოვრებნი გავიცანით რა დღევანდელს მომენტს, ერთხმათ დავადგინეთ: ვუცხადებთ რა ნდობას ამიერ-კავკასიის ახალ მთავრობას და დავიცავთ თავისუფლებას უკანასკნელ სისხლის წვეთამდე; 2) რაც ახლა შეიარაღებული ხალხი ვართ, მივდივართ სამშობლოს დასაცავათ, როცა მოგვიწოდებს ახალი მთავრობა სამხედრო სამსახურში, ჩვენ გამოცხადებისთანავე მივალთ; 3) რადგან წასულთ ჩვენ ამხანაგ ჯარისკაცთ უნდა „ზურგის“ გამაგრება, ამისთვის გადავწყვიტეთ მივცეთ ყოველივე დახმარება მათ ოჯახებს და მით შევუმსუბუქოთ ყოველივე გასაჭირი. ერთი სიტყვით, მათი ოჯახები უნდა შევინახოთ ისე, როგორც ცხოვრობდენ მათ ჯარში გაწვევამდე, აგრეთვე ვეცდებით დავუხნათ და დავუთესოთ მიწები.

**წალვერელი მიშა.**

# მუშათა შორის

**ლითონზე მომუშავეთა საყურადღებოთ.** ამხანაგებო! რამოდენიმე კვირის წინათ თქვენ კარგათ გახსოვთ, თუ რა ხდებოდა, თუ რა დღე ადგა ქალაქის ქუჩებში ქურდ-ბაცაცებისაგან მშვიდობიან მოქალაქეებს, მაგრამ ეს უწესობა შესწყვიტეს ჩვენმა ამხანაგებმა წითელ გვარდიელებმა, დღემდე შევინარჩუნეთ ეს მშვიდობიანობა. დღეს, როგორც იცით ზოგიერთი გვარდიელები გაეშურენ გარეშე მტრის მოსაგერიებლად, რომ ძალები არ შესუსტდეს ამისათვის განიზრახა პროფესიონალურმა კავშირის ცენტრმა შეადგინოს რაზმი, რომელსაც დანარჩენი კავშირები შეუდგენ კიდეც. ამისათვის მოგიწოდებთ ამხანაგებო, არ ჩამოვრჩეთ ჩვენ ამხანაგებს, დავეშუროთ ჩვენი მოვალეობის ასრულებას.

გახსოვდეთ, რომ ამას მოითხოვს როგორც საზოგადო ისე ჩვენი ინტერესები. მსურველ ამხანაგებს შეუძლიათ ჩაეწერონ საღამოს 5—8-მდე ბიუროს ბინაზე, პეტრედიდის ქ. № 18.

რაზმის ორგანიზატორი **ა. ზ. იაშვილი.**

---

31 მარტს მოწვეული იყო ბათუმის ბეჭდვითი მუშათა კავშირის საჩქარო კრება, რომელზედაც გადაწყდა კავშირის ფულის გაგზავნა თფილისში, რის შესასრულებლადაც ამირჩიეს მე. ვაცხადებ ბათუმის ბეჭდვითი კავშირის წევრების საყურადღებოთ, რომ ათას სამასი მანეთი, რომელიც მივიღე ხაზინადარ ამხ. აშკინაზისაგან, გადავეცი შესანახად თფილისის ბეჭდვითი მუშათა კავშირს და მივიღე ამის საბუთი 260 ნომრით.

ბათუმის ბეჭდვითი კავშირის მდივანი **სერგო კილაძე.**

# წერილი რედ. მიმართ

## ღია წერილი ზაქარია-თალიკაძეს *)

მოგეხსენებათ, რომ სპარსეთში, ქალაქ ყაზვინში გასული წლის ოქტომბერში ქართველმა ჯარისკაცებმა ერთხმად დაადგინეს გაეხსნათ სამკითხველო, რის სისრულეში მოსაყვანათ შეგროვილ იქნა ათასი მანეთი. ამ ფულებიდან 50 მან. „ერთობა“-ს და 50 მან. „ეშმაკის მათრახის“ სასარგებლოთ იქნა გადადებული. დანარჩენი ფულით კი უნდა შეგვეძინა ჟურნალ-გაზეთები და წიგნები სამკითხველოსათვის, ამის სისრულეში მოყვანა დაგევალა თქვენ, მაგრამ ამის შემდეგ არაფერი არ ვიცით თუ რა ბედი ეწვია ჩვენს დავალებას. ამისათვის მოვითხოვ თქვენგან ბ-ნო ზაქარია, რომ ეს ფულები დაუყონებლივ გადასცეთ დანიშნულებისამებრ შემდეგი შესწორებით: გაუნაწილეთ თანასწორ ნაწილათ: „ერთობას“, „ბორბას“, „ეშმაკის მათრახს“ და ჟურნალ „პირველ ნაბიჯს“. ამას ვაცხადებ იმ ამხანაგების დავალებით, რომლებიც მაშინ ქ. ყაზვინში იყვენ და დღეს ყველა სამშობლოში არიან დაბრუნებული და მოვითხოვ დაუყონებლივ გაზეთის საშვალებით პასუხს.

როტის კომიტეტის ყოფილი ხაზინადარი **კირილე ვადაჭკორია.**

*) ზ. თალიკაძე იმყოფებოდა ქალაქ ყაზვინში გიდრო ტეხნიკურ „ატრიადში“ „ჩინოვნიკათ“. **ქ. ვ.**

# ცნობები

## ჯარისკაცთა ცნობები

27 მარტს გმირული ბრძოლის დროს მდ. ჭოროხთან მსუბუქათ დაიჭრა 2 რიგ. მსროლელ პოლკის აფიცერი აკაკი ნესტორისძე გობრონიძე და პროკოფი ... ყასძე მეფარიშვილი. მშობლებ ნათესავების საყურადღებოთ ვაცხადებ, რომ საშიში არ არის ჩვენი მდგომარეობა.

**აფიცერი აკაკი ნ. გობრონიძე**

---


ექიმი

**გ. დონხინი**

**უოფილ იასსისტენტი პარიზის მთავარ კლინიკისა იღებს თვალის ტკივილებით ავადმყოფებს,** დილის 10—12 და საღამოს 4—7 საათამდე. **მიხეილის პრ., 76,** (ხაიკინის კბილის საექიმო).

---

ექიმი

**დ. ი. ჯაფარიძე**

მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7 ს. მადათოვის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ.

---

ექიმი ქალი

**რ. გ. შიშლო-საგაშვილი**

მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველდღე **შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა ხაზებით დარიგებას.** სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 5—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, სახლი № 82.

---

**ექიმი ნ. ლ. ტურიაშვილი**

**მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა.**

შინაგან საბავშვო, საშვილოსნო და საშვილოსნო სნეულებით ავადმყოფთ იღებს ყოველ-დღე შუადღის 12—2 და საღამოს 4—5 საათამ. **უფასოთ იღებს** ყოველ-დღე დილით 9—10 საათ. მისამართი: ნიკოლოზის ქუჩა, № 7, სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით.

---

**ექიმი ვ. გ. ვეფხვაძე**

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორათ ნამყოფი იღებს ავათმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 8—რ ნახ. საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19

---

ექიმი

**ნ. ი. მახვილაძე**

იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა (ხელოვნური პნევმოტორაქსი) ქარებით და სხვა **შინაგან სნეულებით.** ავათმყოფთ ყოველ დღე დილის 11—12 საათამდე და საღამოთი 4—6 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11.


# თფილისის ქალაქის გამგეობა

# სავალდებულო დადგენილება.

ქალაქის გამგეობამ თანახმათ საბჭოს 1918 წ. 19 მარტის გადაწყვეტილებისა დაადგინა:

1) ქალაქ თფილისში შემოღებულ იქნება ოთახების დაფასება ისეთ ბინებზე, სადაც იძლევა არა ნაკლებ სამისა და არა უმეტეს ათი ოთახისა.

2) ოთახის ფასი ისაზღვრება მთელი ბინის საიჯარო ფასის ნაწილით, ამ ფასის გამონაგარიშება შეიძლება იმის და მიხედვით თუ მთელი ბინის რამდენი ნაწილი უჭირავს ოთახს და ზედ ემატება 15 პროცენტი.

3) თუ ავეჯით სარგებლობენ ოთახის დამქირავებელნი, შეიძლება მიემატოს კიდევ 20 პროცენტი.

შენიშვნა: საჭირო ავეჯათ ითვლება: კრაოტი, ან ტახტი, სკამები, მცხოვრებლებთა რიცხვის მიხედვით, ერთი სასადილო სტოლი და საწერი მაგიდა, პირის საბანი, ტანისამოსის შკაფი, კამოდი, წიგნების შკაფი ან ეტაჟერკა.

4) როცა მესამე მუხლში აღნიშნულ ავეჯზე მეტით სარგებლობენ ფასის შესახებ ურთიერთ შეთანხმება უნდა მოხდეს, უკეთუ ეს ავეჯი აუცილებლათ საჭირო ავეჯის მაგიერობას არ ასრულებს, ამ უკანასკნელ შემთხვევაში ფასს მეორე მუხლის თანახმათ იხდიან.

5) გათბობა-განათებისთვის იხდიან იმდენს, რამდენიც ნამდვილათ ღირს ეს. პროპორციონალურ პრინციპის თანახმად, როგორც ეს არის ამ დადგენილების მეორე მუხლში აღნიშნული.

6) ვანით სარგებლობისათვის თვითოეულზე უნდა გადა-ხადონ თვეში არა უმეტეს ორი მანეთისა.

7) სამზარეულოთი სარგებლობისთვის საჭმელის მოსახარშათ უნდა გადაიხადონ არა უმეტეს 10 მანეთისა ხოლო როცა სხვა რამესთვის სარგებლობენ სამზარეულოთი ამისთვის ფასი არ უნდა გადაიხადონ.

შენიშვნა. თუ სამზარეულოთი სარგებლობენ საცხოვრებლათ მეორე მუხლის თანახმად იხდიან ფასს.

8) სამოვრით სარგებლობისთვის იხდიან არა უმეტეს 6 მანეთისა თვეში თვითოეულ სამოვარზე.

9) ხელზე მოსამსახურეთა შრომით სარგებლობისთვის იხდიან 2 და 3 მუხლში აღნიშნულ ფასის 20 პროც.

10) ამ დადგენილების ძალაში შესვლის დღიდან დამქირავებელს უფლება არა აქვს წაართვას დამქირავებელს ავეჯი, მოუსპოს სინათლე და გათბობა, აუკრძალოს სამზარეულოთი სარგებლობა და სხვა. უკეთუ უკანასკნელი სარგებლობდა ყველა ამით ამ დადგენილების ძალაში შესვლამდე.

11) ამ დადგენილების ძალაში შესვლის დროს დანიშვნა ევალება თფილისის ქალაქის გამგეობას

12) ამ დადგენილების დარღვევისთვის 29 სტ. ძალით პასუხისგებაში იქნებიან მიცემული.

13) ამ დადგენილების სისრულეში მოყვანას თვალყური უნდა ადევნონ საბჭოს კომიტეტებმა.

ეს დადგენილება ძალაში შედის 10 აპრილიდან.

(2—1) **თფილისის ქალაქის გამგეობა.**

[illegible] № 1